სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი 3 ივლისი 1918 წ

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, [illegible] ящ. 199. Редакція „Эртоба“. [illegible] გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 136 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 136

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ ამა თიბათვის 27 ღამე ანტონ მარტყოფის მონასტერში ღვთით მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოსი პატრიარქი საქართველოისა

კ ი რ ი ო ნ II

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 12 საათ. და საღ. 7 საათ. კათალიკოსის კარის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა პასიკო, ძმები: კირილე, ვოლოდია და ვასო, ბიძა გერასიმე დაი და სიძე: ეპრაქსი და ვიქტორ ბოლქვაძეები, ბებია გულქან, რძალი გოგუცა, ბიძაშვილი ეკატერინე ჩხიკვიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათ საყვარელ და დაუვიწყარ

მოსე კონსტანტინეს-ძე ჯაველიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ქ. თფილისში კუკის წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ 4 ივლისს დილის 10 საათზე № 41 ლაზარეთიდან. (2—1)

უზომოდ დამწუხრებულნი: ივანე როსტომის ძე მიქაძე, მეუღლე მისი ივდითი მახარობელის ასული, და შვილები: მათი ნიკოლოზი, თამარი, ნინო, გიორგი და ელენე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 29 მკათათვის, საღამოს 8 საათზე გარდაიცვალა პირველი ორის შვილი ხოლო დანარჩენთა ძვირფასი და დაუვიწყარი და

მარიამი (მარუსა) ივანეს ასული მიქაძე

პანაშვიდი სამშაბათს საღამოს 6 ნახ. საათზე არამიანცის სახელობის საავადმყოფოს სამლოცველოში, საიდანაც ოთხშაბათს, 3 ივლისს, გამოსვენებულ იქმნება საღამოს 6 საათზე საკუთარ სახლში (კაბგეროვის ქუჩა, № 17). იქვე გადახდილ იქნება პანაშვიდი. გამოსვენება ხუთშაბათს, 4 ივლისს, საკ. სახლიდან წმ. მარინის ეკლესიაში დილის 9 ნახ. საათზე. დაკრძალვა წირვის შემდეგ. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებული და უნუგეშო ანნა სარკისას ასული ლეჟავასი—შვილებით შალვა, ვლადმერ და მარიამით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ პირველი—ძვირფასი დაუვიწყარი ქმრისა დანარჩენის დაუვიწყარ მამის

ლუკა გრიგოლის ძე ლეჟავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. მოკლულ იქნა 28 ივნისს, საღამოს 8 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე—ბინაზე, ფოსტის ქუჩა [illegible] (ვილაბარი). გამოსვენება 3 ივლისს დილის 11 საათზე, წმ. მარინეს [illegible]ე. დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (2—2)

[illegible]მა სარკისას ძე ხადატსკი ოჯახობით, დედით და დით მარიამით—აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი სიძის

ლუკა გრიგოლის ძე ლეჟავას

[illegible]ლათ გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 ივლისს დღით ორშაბათს. (2—2)

[illegible]ამწუხრებული—ევგენია სარკისას ასული, შვილები თამარა და ნინათი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

ლუკა გრიგოლის ძე ლეჟავას

[illegible]ლად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს 3 ივლისს. (2—2)

[illegible]ბი და მომუშავენი სასადილო „ყაზბეგისა“ ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობთ ძვირფასი ამხანაგის

ლუკა გრიგორის ძე ლეჟავას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. (2—2)

[illegible]ართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირი

[illegible]ადავიდა ახალ ბინაზე: საქართველოს ეროვნულ საბჭოს შენობაში, ფრეილინის ქ, № 11. ტელეფონი 9—18. კანცელარია ღიაა 10—1 საათამდე. (2—1)

ხუთშაბათს, 4 ივლისს, საღამოს 7 საათზე, მუშტაიდის დემოკრატიული კლუბში, დანიშნულია პირველი და მეორე თფილისის სოც. დემოკ. რაიონების

წევრთა საზოგადო კრება.

(2—1)

თფილისის სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოება

სახალხო უნივერსიტეტის ცენტრალურ განყოფილებასთან (მიხეილის პრ. № 91) იხსნება 3 თვიური პროფესიონალურ კავშირების საქმეთა შესასწავლი

კურსები

მეცადინეობა საღამოთი; სამჯერ კვირაში მსმენელთა რიცხვი განსაზღვრულია. გადასახადი კურსისა—25 მან. მეცადინეობა დაიწყება—მიმდინარე წლის 5 ივლისიდან. ჩაწერა შეიძლება სახალხო უნივერსიტეტის კანცელარიაში (მიხეილის პროსპ. № 91) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—9 საათ., აგრეთვე პროფესიონალურ კავშირთა საბჭოში (პეტრე დიდის ქ. № 18, ოთახი 26) დილის 11—2 საათ. და საღ. 6—8 საათ.

სიკვდილით დასჯა

სიკვდილით დასჯა უდიდესი სასჯელია კანონთა კოდექსში. ბევრი ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე წინააღმდეგია ამ სასჯელის.

პრინციპიალურათ ამ სასჯელის წინააღმდეგია, რასაკვირველია, ჩვენი პარტიაც. ჩვენ ვუარყოფთ სიკვდილით სასჯელს, როგორც სისტემას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვეულებრივ დროს სულაც არ არის აუცილებელი ამ სასჯელისათვის მიმართვა. მაგრამ ჩვენ წინააღმდეგნი არა ვართ რევოლიუციონური ბრძოლის და არც შეიძლება ვიყვეთ.

ჩვენი რევოლიუცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, თუმცა არსებითად ის უკვე დამარცხებულია. ჩვენ დღეს არ ვართ დარწმუნებული, რომ რევოლიუციის მიერ წამოყენებული ლოზუნგები ხორცს შეისხამს და სინამდვილეთ გახდება, მაგრამ რევოლიუციამ ბევრი რამ შეგვძინა და ამ შენაძენთა შერჩენა ჩვენი მოვალეობაა.

საუბედუროთ, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას და თავისუფლებას მრავალი მტერი აღმოუჩნდა. და რაც ყველაზე უფრო სამწუხარო და სავალალოა, ამ მრავალრიცხოვან მტერთა შორის ჩვენ ვერ ვხედავთ მაღალ იდეით გატაცებულ მოწინააღმდეგეს, ისეთს, რომელიც მზად არის ამ იდეიას თავი შესწიროს. პირიქით, ჩვენი მტრები ჩვენს სისუსტეზე აშენებენ თავის მოქმედების გეგმას, იმათი ლოზუნგია: ჩაიდინე ის, რაც გსურს, ხელის შემშლელი არავინაა.

მართლაც; დაგვიხოცეს საუკეთესო ამხანაგები და დარწმუნებული არიან, რომ ეს მათ შერჩებათ. რა არის მათთვის დატუსაღება, როცა სულ ადვილათ მოახერხებენ ციხიდან გაქცევას და ახალ ბოროტების ჩადენას. ჯერ გაქურდეს და შემდეგ ბოროტების მისაფუჩეჩებლათ დასწვეს უდიდესი საწყობი დიდუბეში, რადგან იციან, რომ ხმის გამცემი არავინაა. აფუჭებენ რკინის გზას, სჭრიან ტელეგრაფის მავთულებს, სწვავენ ხიდებს, იტაცებენ აეროპლანებს და ტყვიისმფრქვეველებს ღრმათ დარწმუნებულები, რომ ამისთვის არავის წინაშე პასუხს არ აგებენ. ქუჩაში დედის წინ კლავენ უმწეო და უიარაღო შვილს, რადგან იციან, რომ ამისთვის მათ არავინ დასჯის.

ასეთი მდგომარეობის ატანა შეუძლებელია. ჩვენ კარგათ გვესმის ტრაღიზმი იმ დამნაშავის, რომელიც გარემოებამ მიიყვანა ბოროტ საქმეზე, ასეთ დამნაშავეს სასჯელი უნდა შეუმსუბუქდეს, მაგრამ ვერ წარმოგვიდგენია პატიება იმ ადამიანის, რომელიც განზრახ ებრძვის საზოგადოებას და მის კეთილდღეობას ძირს უთხრის. ასეთი ადამიანი უნდა მოშორდეს საზოგადოებას.

ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მხარი არ დავუჭიროთ მთავრობის ახალ კანონპროექტს, რომელიც დროებით სიკვდილით დასჯის ინსტიტუტს აწესებს. სხვა გზა დღეს საქართველოს დემოკრატიას არ აქვს, რადგან ხალხის დამოუკიდებლობის, თვით მისი ფიზიკური არსებობის საქმე საშინელს საფრთხეშია ჩავარდნილი. ხალხის მოკეთენი ამას იმდია, გაიგებენ და ხელს შეუწყობენ დამყარდეს ისეთი მდგომარეობა, როცა რეპრესიები საჭირო აღარ იქნება.

ჩვენ სულით და გულით მოველით ასეთი დროს მოახლოვებას. და როცა ის მოახლოვდება, პირველ ვიქნებით მომხრე, ამ რეპრესიის, ამ ტერორისტული ზომის გაუქმების.

„დანოსები“

ეროვნულ დემოკრატების ბევრი მოღვაწენი წარსულში, როცა საქართველო რუსეთის ფარგალში იყო, ხოლო რუსეთი თვითმპყრობელობის შავ ზეწარის ქვეშ—ჩვენს პარტიას იმით ებრძოდენ, რომ მის სახელს და პარტიულობას ააშკარავებდენ, რაც მაშინ პროვოკაციას, გამცემლობას უდრიდა. გვახსოვს ქუთაისის ზოგიერთ გაზეთების უტიფრობა იქამდე მივიდა, რომ იძულებული გაგვხადა პირდაპირ მიგვემართა იმ ვაჟბატონებისათვის და გაჩუმება მოგვეთხოვა.

ახლა რუსეთის შავი აჩრდილი გაიფანტა, სამაგიეროთ, „საქართველოს“ სულის ჩამდგმელთ სურთ იგივე როლი შეასრულონ ჩვენ მეგობარი სახელმწიფოს გერმანიის წინაშე.

იგი ეძებს საბუთს, ეძებს, გამწარებული, რომ გერმანეთსა და ჩვენი მთავრობის შორის რაიმე უთანხმოება ჩამოაგდონ.

მათ მიზანში ამოუღიათ „ბორბა“ და ვლ. ვ. წერილის გამო ასეთ სიტყვებს სწერენ: „გამოდის რაღაც „ბორბა“ რუსული, და რუსეთის ქვეშევრდომი და უნდობლობას უცხადებს გერმანიას“. მერე საბუთი? გაზეთს არც ერთი ციტატა არ მოყავს, საიდანაც სჩანდეს, რომ „ბორბა“ უნდობლობას უცხადებდეს გერმანიას. ალბათ ასეთ რამეს ვერ დაინახავდენ ვერც გერმანელები, რომელთაც რუსული კითხვა იციან. და აი „საქართველოს“ გმირები თვით უთითებენ გერმანელთ, ამა და ამ წერილში არის თქვენდამი უნდობლობა, ამა და ამ წერილის დამწერი რუსეთის ქვეშევრდომია, ეგ ხალხი, რომელიც სათავეში უდგას საქართველოს, სანდონი არ არიანო.

და ამით ამართლებენ იმ სიტყვებს, რომლითაც მათ მიმართა ნ. ჟორდანიამ დეკლარაციის გარჩევის დროს ეროვნულ საბჭოში.

ადამიანის ბუნება ძნელათ შეიცვლება. შეჩვეული ლაქიობას და ენატანიობას, მუდამ ბატონის ძიებაში. იქნება, რომ ენა მიუტანოს.

„საქართველო“ მტკიცეთ ადგია თავის ჩვეულებას, რომელიც რჯულზე უმტკიცესათ შეუთვისებია.

პრესა

ნემეცურ გაზეთ „კაუკაზიშე პოსტის“ 32 ნომერში (29 ივნისი) შემდეგი მოწინავე წერილია მოთავსებული საქართველოს შინაური მდგომარეობის შესახებ:

„საქართველოს შინაური მდგომარეობა დღითიდღე ცუდდათ მიდის. ეს ფაქტია, რომელსაც ვერავინ უარჰყოფს, მაგრამ ეს გარემოება მაინც ვერ პოულობს გამოძახილს იმათში, ვისაც დღეს ხელთ უპყრავთ სახელმწიფოს მართვის სადავე. ქვეყნის მართვა-გამგებლობა ეს დიდი სერიოზული საპასუხისმგებლო ოსტატობის საქმეა და ის უფრო მძიმეა იმ მხარისათვის, სადაც ანარქიის მქვინვარებას დაულეწნია ყოველისფერი. ნუ თუ ამას კარგათ ვერ ხედავენ დღეს ამ საქმის ხელმძღვანელნი? ნუთუ ისინი მართლა ფიქრობენ, რომ შესწევთ ძალა დაამყარონ თავიანთ სამშობლოში სიწყნარე და წესიერება და შეუდგენ ახალ ცხოვრებას? მათი დიდი ხნის რუსული რეცეპტით მუშაობა ცხადჰყოფს მათი სამშობლოს ხელახალი განკურნების შეუძლებლობას. არც ერთ რევოლიუციას არ შეუძლია დაუსრულებელი განვითარება; ყველა უნდა შეჩერდეს მაშინ, როცა მისი ქვეყნის მაჯის-ცემა ნელდება.

აქ რუსეთის საშინელი მაგალითი მაინც უნდა გვედეას თვალწინ! რუსეთი მისმა ხალხის წინამძღვრებმა მიიყვანეს საფლავის კარამდე, ამის მიზეზი ის იყო, რომ იმათ მიხვდენ თავიანთი ხალხის ბორკილებიდან განთავისუფლებას მაგრამ ვერ შეიგნეს მათ ხელმძღვანელობის აუცილებელი საჭიროება.

დიახ, ქვეყნის მართვის საქმე—ეს დიდი ოსტატური საქმიანობაა და ვინც ამ საქმისათვის მოწვეული იქნება, მას სჭირია რამოდენიმე წლის გამოცდილება და ვარჯიშობა. მოიპოვებიან კი ესეთი ადამიანები საქართველოს ხალხის ხელმძღვანელთა შორის?

სოციალ-დემოკრატების ფანატიკურ მიმდევრობას მისი დოგმების სიმბოლო სარწმუნოებათ გამოცხადებას არასოდეს არ ძალუძს შექმნას სახელმწიფო მოღვაწეები და რევოლიუციის ტალღებით ზედა პირზე ამოტივტივებულ ხალხის მეთაურებში ხომ სულ იშვიათია ასეთი ხალხი. დიდი ადამიანი—მხოლოდ ის ხალხის მეთაურია, რომელიც თავის ნიჭს სწორეთ აწონის, დროზე შეჩერდება და ეტყვის თავის თავს: „მე არ ვარგვარ, როგორც სახელმწიფოს მოღვაწე“.

ვინც დღეს საქართველოს მართვა-გამგებლობის საქმეში იღებს მონაწილეობას, ის მარტო თავის ქვეყნის ბედნიერებაზე უნდა ფიქრობდეს და ამასთანავე იყოს ნიჭიერი, გამოცდილი და ხელოვანი თავის საქმისა.

რევოლიუციის ძვირფასი მონაპოვარიც განსაცდელშია, ვინაიდან მხარე მოუცავს თავაშვებულ ანარქიის საშინელ თვითნებობას.

მაშ, საჭიროა თუ არა ხალხი აღჭურვილი ენერგიით, ცოდნა-გამოცდილებით და სამშობლოს სიყვარულით, რომ იხსნას მხარე ანარქიის ბრჭყალებისაგან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ კი—მაგრამ პოლიტიკურ დილეტანტების რიგში ასეთები როდი მოიპოებიან! საქართველოს მართველობა არამც და არამც არ უნდა იყოს პარტიული მართველობა! ამგვარი—პირველ ყოვლისა, ფიქრობს თავის საკუთარ უფლებაზე და ძლიერ ცოტას—თავის სამშობლოს კეთილდღეობაზე.

საქართველოს სჭირია დღეს ქართველი მამულიშვილები მხოლოთ მათ შეუძლიანთ იხსნან ქვეყანა თუ კი ისინი აღჭურვილნი იქნებიან შეგნებით, ცოდნით და გამოცდილებით.

დღემდე საქართველო შევიწროებულია პარტიული მართვა-გამგებლობით, ეს შევიწროება უფრო მწვავეა დღეს, ვიდრე ეს იყო ძველი მთავრობის დროს. დღევანდელი მართველობა ემსახურება მხოლოთ პარტიის კეთილდღეობას; მთელი ქართველი ხალხისათვის კი ძლიერ ცოტა სარგებლობა მოაქვს, ვინაიდან ნამდვილი მამულიშვილები ამ გამგებლობაში სიტყვის თქმის უფლებასაც მოკლებულნი არიან.

და ასე კიდევ ერთხელ: საქართველო საჭიროებას მამულიშვილებს, რომლებიც მთელი ხალხის კეთილდღეობას უფრო მაღლა დააყენებენ, ვიდრე თავიანთ პარტიულ ინტერესებს“.

ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია რის თქმა სურს ამ წერილით ნემეცურ გაზეთს. რათ შეუთვისებია ამ გაზეთს ასე ზედმიწევნით ეროვნულ დემოკრატების „საქართველოს“ აზრები.

ვთქვათ, გამოვნახეთ ნამდვილი „მამულიშვილები“ და შევადგენთ უპარტიო მთავრობა. მერმე ვის უნდა დაეყრდნოს ის. ახლა ხომ ყველა პარტიის წარმომადგენლები შედიან მთავრობაში! ნუთუ ასეთი მთავრობა აღარ გამოხატავს ხალხის სურვილებს? ჩვენ გვესმის, როცა ლაპარაკობენ კოალიციონურ მთავრობის უპირატესობაზე, მაგრამ ვერ გაგვიგია, როცა რაღაც „მამულიშვილურ მთავრობაზე“ გვემასლაათებიან.

რაც შეეხება საქართველოში ანარქიის ჩაქრობას,—ახლანდელ მთავრობაზე უკეთ თუ კი ამ ანარქიის ჩაქრობა შესაძლებელი იქნება, ვერავინ ვერ შესძლებს შინაურ ძალთაგანი.

გარეშე ძალა, ჩვენის აზრით, შედარებით ადვილათ მოუღებს ბოლოს ანარქიას, მაგრამ გარეშე ძალის ამ საქმეში ჩარევა საბედისწერო ნაბიჯი იქნება ჩვენი ხალხისთვის, რასაც ხალხის ყველა კეთილისმყოფელი უნდა გაურბოდეს. ყოველგვარი ზომები უნდა იქნას ნახმარი, რომ ანარქია შინაურმა ძალმა ჩააქროს და თუ ეს ვერ შესძლო, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ მოპოვებული თავისუფლებით სარგებლობის ღირსნი არ ვყოფილვართ!

ნემეცურ გაზეთს თუ საქართველოს მეგობრობა სურს, უნდა ამ ხალხის წიაღში არსებულ ძალებზე დაყრდნობილ მთავრობას მოითხოვდეს და არა „მამულიშვილობისა და უპარტიობის“ რეცეპტს იძლეოდეს. უპარტიობა რომ ასეთი დიდი სასარგებლო იყოს, განახლებულ ქვეყნებში—გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სხვ. პარტიები და პარტიული მართველობა არ იქნებოდა.

ხოლო თუ გაზეთის ამ სიტყვებს მიზნათ აქვს ანარქიის მიზეზით ჩვენი სახელმწიფოებრიობის უარყოფა,—ეს სხვა კითხვაა.

უპარტიონი ჩვენში თითზე ჩამოსათვლელნი არიან და ნუ თუ ორიოდე კაცს მეტი შეუძლია, ვინემ მთელ პარტიას, რომელსაც ხალხის დიდი უმრავლესობა ენდობა?

საქართველო და მისი ბედი

II

გზა დასავლეთისკენ.

დამოუკიდებელ საქართველომ თავისი ბედი დაუკავშირა გერმანიას. ეს იყო გზა აუცილებლობისა ისე, როგორც წარმოადგენდა აუცილებლობას შეერთება საქართველოსი რუსეთთან ამ ას ჩვიდმეტი წლის წინეთ.

მაშინ ჩვენ დავეწაფენით ევროპის კულტურას ჩრდილოეთით, რუსეთის საშუალებით, დღეს ეს ჩვენ გვიხდება დასავლეთით გერმანიის საშუალებით.

ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის გამოკვლევას და მტკიცებას, თუ რომელი გზა წარმოადგენს საქართველოსთვის უფრო უტყუარს, უფრო ნამდვილს, ან უნდა გადაგვედგა ეს ნაბიჯი თუ არა? ყველა ის სადავო იყო მაშინ, როდესაც ვწყვეტდით ამ კითხვას, ახლა კი, როდესაც დემოკრატიის უმეტესობამ დაინახა საჭიროთ გერმანიას გვერდში ამოსდგომოდა, როდესაც ისტორიამ და ომით შექმნილ პირობებმა გვიკარნახა ეს არჩეული გზა, სხვა არა დარჩენიათ ერს და მის სათავეში მდგომ საპასუხისმგებლო ორგანოებს, როგორც აამუშაონ ენერგიულად, შუბლ-შეუხრელათ დაიცვან დაკისრებული პოლიტიკა, ვიდრე პირობები ხელს უწყობს. ყოველი რყევა და ეჭვები მხოლოდ დაასუსტებს ამ პოლიტიკას, გაათამამებს ჩვენს მტრებს, გაუმაგრებს მათ ნიადაგს.

თქმა არ უნდა, ძნელი და საშიშო იყო საქართველოს ჩამოშორება რუსეთისგან, რომელთან საუკუნეზე მეტი იყო შესისხლხორცებული. ამიტომაც შეგნებით თუ შეუგნებლათ ბევრი მტერი გაუჩნდა ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას. დღეს საქართველო წააგავს იმ დაზიანებულ სხეულს, რომლის სრული დაღუპვისაგან გადასარჩენათ ქირურგმა ჩამოაშორა მომაკვდავი და უმნიშვნელო ორგანიზმის არსებობისთვის ერთი ნაწილი და მის ადგილას ჩააკერა სხვა ახალი, უცხო ელემენტი. ვიდრე ეს ელემენტი შესისხლხორცდება, შეეგუება მთელ სხეულს, [illegible] უკანასკნელი აშკარაა, განიცდის ტკივილებს. შესაძლებელია ეს ტკივილები ხანგრძლივი იყოს, ახალმა ოპერაციამ კიდევაც ავნოს ბოლოს და ბოლოს სხეულს, მაგრამ ჩვენს მოვალეობას შეადგენს ხელი შევუწყოთ ავათმყოფს, ტკივილები შევუსუბუქოთ და ავატანინოთ ძნელი ოპერაცია. სწორეთ ამ მდგომარეობას განიცდის ჩვენი დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა.

გამოვადგებით კარგ და გონიერ მომვლელებათ ჩვენ დასუსტებულ სამშობლოს, ესე იგი, შევძლებთ თუ არა ახალი გზით სვლას დასავლეთისკენ გერმანიის საშუალებით, დამოკიდებულია საგარეო და შიგნით პოლიტიკისაგან. ჩვენთვის ცხადია, რომ ვიდრე ამიერ-კავკასია ჩამოშორდებოდა რუსეთს და საქართველო დადგებოდა გერმანიის გავლენის ქვეშ, ოსმალეთი იყო უბრალო იარაღი გერმანიის ხელში ინგლისის წინააღმდეგ, რომ მისი გავლენა სპარსეთში თუ არ მოესპო სრულიათ, შეესუსტებინა მაინც. დღეს კი, როდესაც გერმანია დაუკავშირდა ქართველებს, ეს საქმე მას უფრო გაუადვილდა. გერმანია ეცდება მთელი ამიერ-კავკასია გაიხადოს ბაზად, რომ აქედან გაიადვილოს ბრძოლა ინგლისელებთან. ამისთვის საჭიროა გაერთიანება ამიერ-კავკასიის ყველა ნაწილებისა საქართველოს, ადერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკისა. ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადერბეიჯანი და არარატი განთავისუფლდებიან ოსმალეთის გავლენისაგან.

ამას შეეცდება გერმანია და კიდევაც გაიყვანს ახლო მომავალში.

ამიერ-კავკასიის შეერთების საქმეში ხელს შეუწყობს თვით საქართველო, იმიტომ კი არა, რომ მხარს უჭერდეს გერმანიას იმპერიალისტურ მისწრაფებაში, არამედ იმიტომ, რომ ქართველი სოციალდემოკრატიული პარტია როგორ ინტერნაციონალური პარტია და მი დღეს სახელმწიფო სათავეში რესებულია ერთა გათიშვაში კ არამედ—მათი დაახლოვებაში და შირებაში.. და რომ შესძლოს ეს სუფალ საქართველომ, ყოველი მო ქე, განურჩევლათ ეროვნებისა, მო სრული გულწრფელობით უპი დაიცვას ჩვენი დემოკრატიული რ ბლიკის მთლიანობა. ყ ელივე ძიება, ეჭვიანობა, უნდობლობა ანგარიშის გასწორება, ფრაქციულ ტანტური მოსაზრებები, ძარცვა გ მადის გაღვიძება, შექმნის საშინელ ქიას, რომლის ჩაქრობას მოინდომ უცხო ქვეყნების ძალა. რომ არ მოხ ყველა ეს და შევძლოთ ჩვენი ძალლონ სვლა დასავლეთის გზით, საჭიროა ლურ ძალის შექმნა და ძლიერი მ გამგეობა. ვის შეუძლიან ეს? ამაზე შემდეგ.

ქ. კახელი

გიორგი ვალ. პლეხანოვი

გ. ვ. პლეხანოვი, როგორც დამაარსებელი რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

(ნოე ჟორდანიას მოხსენება)

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების თემაა— გ. ვ. პლეხანოვი, როგორც დამაარსებელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა. მაგრამ რომ სავსებით გავიგოთ გ. პლეხანოვის როლი ამ საქმეში, საჭიროა მოვიგონოთ, თუ რომელი პოლიტიკური პარტიები არსებობდა გ. პლეხანოვის გამოსვლამდე და ვის წინააღმდეგ ბრძოლაში დაარსა მან ს.-დ. პარტია.

მაშინ, როცა რუსეთში არსებობდა ბატონ-ყმობა, გაბატონებული იყო მემამულეთა რეჟიმი და გლეხობა გმინავდა მათრახის ქვეშ, დასავლეთ ევროპაში ამოვარდა რევოლიუციონური ქარიშხალი, ბევრი ტახტი დაიმსხვრა, ბევრი საგრძნობით შეირყა. ამ მოძრაობას არ შეეძლებოდა გავლენა არ მოეხდინა რუსეთზე, რომ ეს უკანასკნელიც შემდგარიყო იმ გზაზე, რომლითაც მიდის დასავლეთ ევროპის განვითარება. დასავლეთ ევროპის მოძრაობა დაწყარებული იყო იმაზე, რომ იქ განვითარდა მრეწველობა, განმტკიცდა ახალი წყობილება, რომელმაც მოგვცა ბურჟუაზია და პროლეტარიატი; ასეთი ეკონომიური წყობილება რუსეთში არ იყო. მაგრამ ცხოვრება არ იცდიდა, საჭირო იყო დასავლეთ ევროპასთან გათანაბრება.

რუსეთში პოლიტიკური მოძრაობის პიონერებათ გამოვიდა არა ბურჟუაზია და პროლეტარიატი, არამედ ინტელიგენცია. და რადგანაც ბატონ-ყმობის დროის ინტელიგენცია, ე. ი. სწავლის უფლება ეკუთვნოდა თავად-აზნაურობას— ინტელიგენციაც თავად-აზნაურული იყო. ისინი შედიოდნენ სამხედრო სამსახურში, ამიტომ მოძრაობის პიონერებიც სამხედრო პირები იყვნენ. ესენი ცნობილი არიან ისტორიაში დეკაბრისტების სახელით; სახელოვანი მებრძოლნი იყვნენ, მაგრამ დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში. მიუხედავათ ამისა მათი იდეები ვრცელდებოდა მოწინავე წრეებში. ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებამ აავსო მოთმინების ფიალა და უკმაყოფილების გამოთქმა დაიწყეს არა მარტო რევოლიუციონერებმა, არამედ ლიბერალებმაც. იწყებენ ლაპარაკს რეფორმების შესახებ, ზოგიერთები მიდიან საზღვარ გარეთ, რომ იქ დაარსონ ორგანო და ებრძოლონ თვითმპყრობელობას. მათ სათავეში ედგა გერცენი, ოგარიოვი; ლონდონში სცემდნენ ჟურ. „კოლოკოლ"-ს. დაიწყო მე-60 წლების რეფორმები. ბატონ-ყმობა მოისპო და რუსეთის მცხოვრებთ მიეცა უფლებრივი შეძლებულობა დაეწყოთ განათლება, კულტურა; გამოვიდნენ ინტელიგენტები გლეხებიდან, სამღვდელოებიდან. ამ ახალ ინტელიგენციას უწოდებდნენ „რაზნოჩინცი". ეს ინტელიგენცია ითვისებს დასავლეთ ევროპის სოციალისტების, განსაკუთრებით პრუდონის, სენ-სიმონის, ფურიეს და სხვ. იდეებს. ისინი იწყებენ მოძრაობას და აყენებენ სოციალურ ხასიათის საკითხებს. მაგრამ აქ შეეჩეხენ ერთ წინააღმდეგობას. დასავლეთ ევროპაში ამ იდეების მატარებელი იყო მუშათა კლასი. რუსეთში კი მუშათა კლასი, როგორც ასეთი, მაშინ არ არსებობდა, საჭირო იყო მისი ადგილი სხვას დაეჭირა. კ. მარქსი სწერდა, რომ სოციალიზმი შედეგია კაპიტალიზმისა, გამომდინარეობს კაპიტალისტურ წარმოების ფორმებიდანო. აქაც დაიწყეს სოციალიზმის ქადაგება, მაგრამ კაპიტალიზმი კი არ იყო. ამნაირათ, იყო მხოლოდ სურვილი, ხოლო შესაძლებლობა კი არა. ამ წინააღმდეგობიდან გამოსავალი მონახა ჩერნიშევსკიმ თავის წიგნაკში: „Философскія предупежденія противъ общественнаго землевладѣнія въ Россіи". წიგნაკი პატარაა, მაგრამ იგი გახდა „ნაროდოვოლცების" სახარებათ. ავტორი მათემატიკურის სისწორით ამტკიცებს, რომ სათემო მიწათ-მფლობელობიდან შეიძლება გამოვიდეს სოციალიზმი, არ არის საჭირო კაპიტალიზმის გავლა, მას გვერდს აუვლით და გადავალთ პირდაპირ სოციალისტურ საფეხურზე. ამ თეორიას მიუმატეს სხვა [illegible]ებიც.

[illegible] შეეძლო ყოველივე ამის გაკეთება?

დასავლეთ ევროპაში სოციალისტურ იდეების მატარებელი, როგორც ვთქვით, იყო მუშათა კლასი. ჩვენში ასეთი კლასი არ არის, მაგრამ არის შესაძლებლობა სათემო მიწათ-მფლობელობა—სოციალიზმის განხორციელებისა. მაგრამ [illegible] მას, ვინ გადაიყვანს სოციალიზმის საფეხურზე? აქ მუშების ადგილს იჭერს ინტელიგენცია. და იმის დასამტკიცებლათ, რომ ინტელიგენციას [illegible] როლი აქვს დაკისრებული—შეიქმნა ახალი თეორია ისტორიაში პიროვნების როლის შესახებ. მაგრამ აქ მათ არაფერი ახალი არ უთქვამთ. ეს თეორია პირველათ ინგლისში შეიქმნა და იგი მხოლოდ საჭირო გახდა ახლა [illegible] რუსეთში. თქვენ იცით მირტოვის (ლავროვის) წერილები—„ისტორიული წერილები". ეს ნამდვილი აპოთეოზია პიროვნებისა. ამნაირათ, გამოინახა მატარებელი და ობიექტი მოძრაობისა—ინტელიგენცია და ეკონომიური საფუძველი—სათემო მიწათ მფლობელობა. ამაზე აეგო მოძრაობა რუსეთში. და აი რევოლიუციონერები თავს იყრიან უმთავრესათ საზოგადოება „მიწა და თავისუფლება"-ში.—მიწა ხალხს—ეს გულისხმობს სოციალურ ცვლილებას, თავისუფლება—დემოკრატიულ წყობილებას. ეს საზოგადოება იყოფოდა ორ ჯგუფათ, ერთი ნაწილი მიდიოდა სოფელში სოციალისტურ იდეების გასავრცელებლათ, მეორე რჩებოდა ქალაქში, რომ რაც შეიძლება მეტი ინტელიგენტები მიემხრო. მაგრამ სოფელში მისვლისას ისინი ხვდებოდნენ დაბრკოლებებს—გლეხების უმოძრაობა და, რაც თავი და თავია, პოლიციური რეჟიმი. მათ წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო თვითმპყრობელობამ. და ისინი გადადიან იმ თვალსაზრისზე, რომ პოლიტიკურ თავისუფლების გარეშე შეუძლებელია სოციალისტურ იდეების გავრცელება. ამიტომ მთავარ მიზნათ დაისახეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლა. მაგრამ იყო მეორე მიმართულებაც, რომელიც უარყოფდა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის ბრძოლის [illegible]. საჭიროა პირდაპირ სოციალიზმის ქადაგება, გლეხების აჯანყება, რაც დაამხობს როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ძველ წყობილებას და შექმნის ახალ სოციალისტურ წყობილებასო—ამბობდნენ ამ მიმართულების მიმდევარნი. ეს ჯგუფი გაიყო ორ ფრთათ: „ნაროდნაია ვოლია" და „ჩორნი პერედელ". „ჩორნი პერედელის" ჯგუფში იყო ჩვენი მასწავლებელი გ. ვ. პლეხანოვი. იგი დიდხანს მუშაობდა „მიწა და თავისუფლების" ჯგუფში და როცა დადგა ამ ჯგუფის კრიზისი, გ. პლეხანოვი შერჩა ძველ შეხედულებას, რომ ეკონომიური ფაქტორი—მთავარი ფაქტორია საზოგადოებრივ მოძრაობისა და დარჩა „ჩორნი პერედელის" ჯგუფში. აქ უკვე გამოსჩანს მარქსიზმის ჩანასახი.

„ნაროდოვოლცები" აწარმოებდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „ჩორნი პერედელის" მოღვაწეები, ცნობილი დეიჩი, რომელმაც მოაწყო ჩიგირინის გლეხთა გამოსვლა და სხვა. სასოწარკვეთილებას მიეცნენ სოფელში და დაიწყეს ქალაქში წასვლა. „ნაროდნაია ვოლია" დაადგა ტერორის გზას და ამით დიდი ყურადღება მიიპყრო. ამ დროს პლეხანოვისა და სხვების სულს ეჭვები იპყრობს და გ. პლეხანოვი მიემგზავრება საზღვარ გარეთ რომ ახლოს გაეცნოს მარქსიზმსა და საერთოთ სოციალოგიას. ეს მოხდა ალექსანდრე მე-II მოკვლამდე. იგი ეცნობა მარქსისტულ ლიტერატურას და იცვლის იდეებს, მხოლოდ ის შეხედულება, რომ ეკონომიური ფაქტორი უდიდესია, ისევ უცვლელი რჩება. იგი დარწმუნდა, რომ სოციალიზმისკენ გზა საერთოა, მთელ კაცობრიობამ უნდა გაიაროს ის გზები, რომელიც ევროპამ უკვე განვლო და შემდეგში უნდა გაიაროს. ამ იდეიის დასასაბუთებლათ მან დასწერა და გამოსცა წიგნი „Соціализмъ и политическая борьба", შემდეგ „Наши разногласія". ამ უკანასკნელ წიგნში მან გააკრიტიკა „ზემლევოლცები" და „ნაროდოვოლცები" და თეორიულათ ჩაუყარა საფუძველი ახალ პარტიას. მან გააკრიტიკა თემური წყობილება—არ შეიძლება გადახტომა სოციალისტურ საზოგადოებაშიო, გააკრიტიკა ტერორის თეორია,—არ შეიძლება წყობილება შეიცვალოს ტერორით, თუ მას ზურგს არ უჭერს მოძრაობაო. იგი ამტკიცებს „ზემლევოლცების" და „ნაროდოვოლცების" უტოპიზმს და ამბობს, რომ რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო. ამის თქმა მაშინ, როცა მრეწველობა და მუშათა კლასი არ იყო, როცა ყველა გატაცებული იყო „ნაროდოვოლცების" იდეებით—დიდ გაბედულებას ნიშნავდა. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ წიგნების მკითხველები იყვნენ არა მუშები არამედ ნაროდნიკული იდეებით გატაცებული ინტელიგენტები. ამით აიხსნება, რომ ეს წიგნები კონტრ-რევოლიუციურ წიგნებათ კინაღამ არ გამოაცხადეს, ეს რევოლიუციონურ იდეიის შებღალვააო. მაგრამ გ. პლეხანოვი და მისი თანამებრძოლნი დეიჩი, აქსელროდი, ვ. ზასულიჩი და სხვა ვერ შეაშინა ამ გარემოებამ. მათ დაარსეს ჯგუფი, რომელმაც თავის თავს უწოდა „შრომის განთავისუფლების ჯგუფი". ჯგუფმა შეადგინა პროგრამა, რომელიც ცოტათ თუ ბევრათ ემსგავსება ჩვენს დღევანდელ პროგრამას. ამ ჯგუფმა დაიწყო წიგნების, წიგნაკების, თითქმის ჟურნალის გამოცემაც, მაგრამ ამ წიგნებს არ ჰქონდა ინტელიგენციაზე გავლენა. არსებობდა პატარა მარქსისტული წრეები; აქ კი [illegible] მებს და ამით განისაზღვრებოდა ამ წრეების მუშაობა. არ იყო ნიადაგი, პირობები, რომ შესაძლებელი გამხდარიყო მუშებთან მისვლა. მაგრამ ამ წრეებმა მოამზადეს მომავალი მოღვაწეები მუშათა მოძრაობისა.

გ. პლეხანოვის ნაწერებს ჰქონდა გავლენა არა მარტო რუსებზე, არამედ ჩვენზედაც. პირველი მარქსისტული შრომა, რომელიც ჩვენ ჩაგვივარდა ხელში—ეს პლეხანოვის წიგნებია.

მაშინ ჩვენ, მე, ჩხეიძე და სხვები საშუალო სასწავლებელში ვსწავლობდით. ყველა „ნაროდოვოლცები" ვიყავით. ვკითხულობდით მარქსის ნაწარმოებს, მაგრამ ვერაფერი გავიგეთ და როცა მივიღებდით პლეხანოვის წიგნს, მაშინ გვეხსნებოდა მარქსიზმის გაგება.

მე მახსოვს პირველი კრება მარქსისტებისა, რომელსაც დაესწრო 6—7 კაცი. ეს კრება შესდგა 1892 წ. ზამთარში ყვირილაში. მოწვეული იყვნენ ამიერ-კავკასიის ყველა მარქსისტები, გარდა სილიბისტრო ჯიბლაძისა, რომელიც მაშინ კახეთში იყო და ვერ მოვახერხეთ მისთვის გვეცნობებია კრების მოწვევა. კრებას დაესწრნენ ცნობილი ბელეტრისტი ეგნატე ინგოროყვა (ნინოშვილი), თქვენი მორჩილი მონა, კ. ჩხეიძე, ვაცაძე, ი. კაკაბაძე და დ. კალანდარიშვილი. ჩვენ დავისახეთ მიზნათ დაგვეწერა პროგრამა მარქსიზმის მიხედვით. დავსწერეთ კიდეც. მაგრამ დავინახეთ, რომ ეს იყო პროგრამა „ნაროდოვოლცების" და არა მარქსისტული და დავიშალეთ. შემდეგ გავმართეთ კრება აქ, თფილისში, ერთ ნესტიან სარდაფში. ვარჩევდით ჩემს ერთ წერილს და დავინახეთ, რომ იგი არ იყო მარქსისტული. მაშინ გადავწყვიტეთ გაგვეგზავნა საზღვარ გარეთ კაცი, რომელსაც უნდა გაეგო, რა იყო ეს მარქსიზმი. 1893 წ. ეგნატე ნინოშვილი მოვიდა ჩვენთან და მითხრა საზღვარ გარეთ უნდა წახვიდეო. მე ცოტა არ იყოს უარზე დავდექი, მაშინ საზღვარ გარეთ წასვლა—ეს რაღაც სასწაული იყო. მაგრამ ამხანაგებმა ძალით ჩამაჯინეს ბათუმში გემში და გამამგზავრეს. მე მივედი ჟენევაში, ამ აღთქმის ქვეყანაში. ვერავის ვერ ვიცნობდი. როცა ქუჩაში მივდიოდი, ერთ კაფეზე გაკრულ განცხადებას მოვკარი თვალი—ამადაამ ადგილას დანიშნულია კოლონისტების (ემიგრანტების) კრებაო. მე ძლიერ გამეხარდა რომ მომეცა საშუალება დავსწრებოდი პირველათ თავისუფალ კრებას, დავსტოვე ნივთები და გავეშურე დანიშნულ ადგილისაკენ, შემცვივა წაიკითხა მოხსენება რუსეთის შესახებ. ილაპარაკეს ორატორებმა. ჩემზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინა ერთმა ორატორმა—„ნაროდოვოლეც" დობროვოლსკიმ. იგი ამტკიცებდა, რომ გაუნათლებელი „მუჟიკი" გააკეთებს ყველაფერს, დაამყარებს რუსეთში სოციალიზმს და სხვა. ამ იდეიას მეც ვატარებდი პირველად, მაგრამ შემდეგ გამოვეთხოვე მას. ახლა დობროვოლსკის გამოსვლამ პირდაპირ მოთმინებიდან გამომიყვანა და მოვითხოვე სიტყვა. სიტყვის შემდეგ ჩემთან მოვიდა სამი პირი, ჩამომართვეს მეგობრულათ ხელი და მითხრეს, ჟენევაში სულ სამი მარქსისტი ვართო და ძლიერ გვეხარდათ, რომ მეც მათი თანამოაზრე აღმოვჩნდი. მე ვუპასუხე მათ რომ ჟენევაში სწორეთ მარქსიზმის შესასწავლათ ვიყავი ჩასული. მეორე დღეს მე წამიყვანეს პლეხანოვთან. მას ძლიერ გაეხარდა, რომ მის გარდა ჟენევაში კიდევ იყო მარქსისტების წრე ოთხი კაცისაგან შემდგარი. ერთი იყო კბილის ექიმი, მეორე—მესტამბე, მესამე არ მახსოვს ვინ იყო. აი როგორ იყო მაშინ საქმე. მე მიამბეს, რომ ერთ ქალაქში მარქსისტებს, როგორც ხოლერით შეპყრობილებს ისე უცქეროდნენ. ისინი თითო საჩვენებელი იყვნენ, სასტუმროში თუ დადგებოდა ვინმე მათგანი, ყველა გამვლელი ამბობდა, აი იქ მარქსისტი ცხოვრობსო... გ. პლეხანოვმა კი ათი წლით ადრე დაიწყო მარქსიზმის ქადაგება და წარმოიდგინეთ თქვენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მისი გაბედულება!

ამ დროს რუსეთში იწყება მუშათა მოძრაობა. იწყება გაფიცვები 1894—96 წწ. და სხვ. გ. პლეხანოვმა მაშინ გამოსცა ლეგალურათ წიგნი: „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда по исторію", რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა რუსეთში და საფუძველი ჩაუყარა მარქსიზმს. მე ვიყავი მაშინ ჟენევაში. ჩვენ არ ვიცოდით ამ წიგნის შესახებ არაფერი და როცა შევეკითხეთ გ. პლეხანოვს თუ რათ არ გაგვაგებია ჩვენ, რომ წიგნს სწერდა, მან გვიპასუხა, სხვებიც გაიგებდნენ და შეუძლებელი იქნებოდა მისი გამოცემაო. მართლაც, პლეხანოვის სიფრთხილემ შესაფერი ნაყოფი გამოიღო—წიგნის გამოცემა პოლიციამ მხოლოდ მის გაყიდვის შემდეგ გაიგო.

ამის შემდეგ დაიწყო წიგნებისა და წიგნაკების გამოცემა. გამოიცა აგრეთვე ჟურ. „სლოვო". აქ კი ჩვენ თავი მოვიყარეთ ჟურ. „კვალის" გარშემო და ვავრცელებდით მარქსისტულ იდეებს. მუშათა მოძრაობის განვითარებასთან ერთათ მოეწყო მუშათა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ პლეხანოვის მოწაფეები. რუსეთში არსდება მუშათა ორგანიზაციები სხვადასხვა სახელწოდებით: „მუშათა მოძრაობის მოღვაწეთა კავშირი", შემდეგ ჟურ. „რაბოჩეე დელო" და სხ. მარქსისტული იდეა თანდათან ვრცელდება. პირველი ყრილობა მეცნიერულ სოციალიზმის მოღვაწეებისა რუსეთში მოწვეულ იქნა 1898 წ. ყრილობა რუხული გამოდგა, მას ცოტა დელეგატები დაესწრო და საერთო პროგრამა მან ვერ მოგვცა. დაარსდა ახალი მარქსისტული ჯგუფი, რომელიც ამტკიცებდა, რომ საჭიროა მხოლოდ ეკონომიური ბრძოლაო. ამ მიმართულებას ეწოდება ეკონომიზმი. მას სასტიკათ შეებრძოლა გ. პლეხანოვი და მის საწინააღმდეგოთ დასწერა წიგნი „ვადემეკუმი". ამ დროს რუსეთში გაჩნდნენ ახალი მოღვაწეები, ლენინი, მარტოვი, პოტრესოვი და სხვ. ისინიც წინააღმდეგი იყვნენ ეკონომიზმისა. მოეწყო ახალი ორგანიზაცია „ისკროვცებისა".

ჩვენში მუშათა მოძრაობა დაიწყო 1901 წ. ეს იყო პირველ მაისის დღესასწაული. ამ დროს აქ მოხდა ამიერ-კავკასიის ორგანიზაციათა პირველი ყრილობა. არჩეულ იქნა საოლქო კომიტეტი, რომელსაც მაშინ კავშირის კომიტეტს უწოდებდით. ჩვენში არ ყოფილა ის დავა, რომელიც სწარმოებს ეკონომიზმის დამცველთა და „ისკროვცებს" შორის. ამ ბრძოლაში გაიმარჯვეს „ისკროვცებმა" და 1901 წ. მოწვეულ იქნა მეორე ყრილობა. აქ შემუშავდა პარტიის საფუძველი და იდეალები. გ. პლეხანოვმა ახლო მონაწილეობა მიიღო ყრილობის მუშაობაში. ჩვენი პროგრამის საფუძვლები მიღებულ იქნა მე 2 ყრილობაზე. იგი დაწერილია „ისკრა"-ს რედაქციის მიერ პლეხანოვის ახლო მონაწილეობით.

ამნაირათ, გ. პლეხანოვმა ამ საზოგადოებრივ აზროვნების ბურუსში გაატარა იდეა მარქსიზმისა, გასწმინდა თეორიული გზა. ეს მაშინ ძნელი საქმე იყო, მაგრამ მას შესწევდა გამბედაობა ყველასათვის გამოეცხადებია ბრძოლა, იგი იბრძოდა იმ პარტიის წინააღმდეგაც, რომელსაც ადრე თვითონ ეკუთვნოდა. დიდხანს, 10—20 წლის განმავლობაში ელოდა თავისს ბრძოლის ნაყოფს, და აი, დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მის იდეამ გაიმარჯვა, პარტია დაარსებულია და მის დროშის ქვეშ ირაზმება რუსეთის მუშათა კლასი.

და ასეთ ადამიანს... (აქ ნოეს თვალები ცრემლებით აევსო, მოზღვავებულ გრძნობათა გამო მან ველარ შესძლო სიტყვის გაგრძელება).

ყვირილა შორაპნის რაიონის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი გამოსთქვამს თავის უზომო მწუხარებას გიორგი ვალენტინეს ძე პლეხანოვის გარდაცვალების გამო. რუსეთის მუშათა კლასს უნახავს მრავალი მწარე დღეები, ამ დღეებში იმყოფება ის ეხლაც, მაგრამ ჩვენ ღრმათა გვწამს მომავალი, გვწამს, რომ პოლიტიკური ჰორიზონტი რუსეთის პროლეტარიატისა, რომელიც დღეს მოცულია ჯანღითა და ბურუსით, კვლავ გაიწმინდება და რუსეთის მუშათა კლასი გამარჯვებული კვლავ დაუბრუნდება მარქსისტულ გზას და თავის შეუდარებელ მასწავლებელს პლეხანოვს.

სამარადისო ხსოვნა ქართველ მუშათა კლასის გულში გიორგი ვალენტინეს ძეს.

ყვირილა შორაპნის რაიონის სოც.-დემოკრატიული კომიტეტი

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

2 ივლისი.

ბერლინი. 1 ივლისი. დასავლეთის ფრონტი. კრონ-პრინც რუპრეხტის ჯარი. ფრონტის ბევრ ნაწილებში სამხედრო მოქმედება გაცხოველდა. გაძლიერდა დამზვერავ რაზმების მოქმედებაც. ალბერის ჩრდილოეთით ინგლისელების ყველა იერიშები მოვიგერიეთ.

გერმანიის კრონ პრინცის ჯარი მდ. ენსა და მარნას შუა მტრის გაცხოველებული მოქმედება. ქვეითა ჯარი რამდენჯერმე შეეცადა მოეხდინა დაზვერვა. პიერ-ეგლის ახლოს მტერი გაძლიერებული მზადების შემდეგ გადავიდა შეტევაზე მაგრამ მოვიგერიეთ. მოვიგერიეთ აგრეთვე მტრის ახალი შეტევა ამ რაიონში.

ანგარიშის დასრულების შემდეგ ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ შეტევითი ბრძოლა დავიწყეთ (21 მარტი 1918 წ.) ჩვენს თავის მოსაყრელ პუნქტებში გაუვლია დაჭრილებს გარდა 191454 კაც. მათ შორის 94939 ინგლისელია, (4 გენერალი და 3100-ამდე ოფიცერი და 89099 ფრანგი. (2 გენერალი, 3100 ოფიცერი.) დანარჩენს შეადგენენ პორტუგალიელები, ბელგიელები და ამერიკელები. ბრძოლის ველზე შეკრიბეს 2476 ზარბაზანი და 15024 ტყვიის-მფრქვეველი.

სტამბოლი. 1 ივლისი. პალესტინის ფრონტი. ზღვის პირის რკინის გზის აღმოსავლეთით 29 ივნისს ღამით მტრის ერთმა როტამ დაიწყო შემოტევა, მაგრამ მოვიგერიეთ. იერუსალიმ-ნაბულუსის გზის ორივე ნაპირას გაძლიერდა საარტილერიო ბრძოლა. დანარჩენ ფრონტზე არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა.

პარიზი. 1 ივლისი. გასულ დღე და ღამის განმავლობაში მთელ ფრონტზე არავითარი საყურადღებო მოქმედება არ ყოფილა. 30 ივნისს ძირს ჩამოვაგდეთ გერმანელების 21 აეროპლანი.

მოსკოვი. 30 ივნისი. ნიკოლოზ მე-II მოკვლის შესახებ გავრცელებული ხმები პროვოკატორული ჭორია.

ბუქარესტი. 1 ივლისი. პარლამენტის მიერ მიღებულ საზავო ხელშეკრულება გადაეცა სენატს რატიფიკაციისათვის.

უკანასკნელი ცნობები

სოხუმი

29 ივნისს სოხუმიდან გამოსულ ამხანაგმა რომელიც თფილისში 1 ივლისს ჩამოვიდა, შემდეგი გვიამბო: ამ ჟამად სოხუმში სიწყნარეა. ბოლშევიკები ახალ ათონთან დამარცხების შემდეგ აღარ გამოჩენილან, დაიხიეს ადლერამდე. გუდაუთი და გაგრა გენ. მაზნიევის რაზმმა უბრძოლველად ჩაიბარა. ხმები იყო, თითქოს ბოლშევიკებს ადლერში მცხოვრებნი აჯანყებოდნენ და გზა გადაეჭრათ. ოსმალეთის დესანტი კოდორთან იყო გადმოყვანილი რიცხვით სამასი კაცი, თოფებით და ტყვიის მფრქვეველებით შეიარაღებულნი. 29 ივნისს დესანტის უფროსს გენ. მაზნიევის მიერ გაგზავნილი დელეგაციისთვის პასუხი უნდა მიეცა. თვით ოსმალეთის ჯარი გარს შემორტყმული იყო გენ. მაზნიევის რაზმით. პირველ დელეგაციას ოსმალებმა უპასუხეს: ჩვენ აფხაზები ვართ და აქ სტუმრათ მოვედით და სხვათა შორის ბოლშევიკების განსადევნათო. გენ. მაზნიევის წინადადება ასეთი იყო: ან დაყარეთ იარაღი ნებით, წინააღმდეგ შემთხვევაში სროლას დავიწყებო.

ოსმალეთის დესანტმა გენ. მაზნიევის მოთხოვნის თანახმად დასტოვა სოხუმის ოლქი და წავიდა ბათომში. (ა. დ. ს.)

გუდაუთი

უკანასკნელათ გუდაუთის აღების დროს ბოლშევიკებმა დაატყვევეს 100 მეტი კაცი, უმთავრესათ თფილისიდან გაგზავნილი საგანგებო რაზმის ჯარისკაცები, რომლებიც გუდაუთს იცავდნენ. ამათში, როგორც ახლა ირკვევა, 11 კაცი აწამეს: ზოგს თვალები ამოსთხარეს, ზოგს ხელი მოსჭრეს, ზოგნიც ხანჯლებით აკუწეს. დანარჩენი გაგრისკენ წაიყვანეს ტყვეთ. ბოლშევიკებს მეთაურობდა ცნობილი ლაკობა. მის ლაშქარს უმთავრესად შეადგენდა—„ბოსიაკი" რუსები (ტყვეთ წამოყვანილნი თითქმის ყველანი არაყით იყვნენ გალეშილნი), აფხაზების ნაწილი და სომხობა. ამ ჟამათ გუდაუთში, სოხუმში და გაგრაში გენ. მაზნიევის რაზმის ნაწილებია დაბანაკებული.

დუშეთის მაზრა.

წილკანის მიმართულებით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. მცხოვრებნი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევენ, აბარებენ იარაღს. გახიზნულები თანდათან თავიანთ ოჯახებს უბრუნდებიან. პოლკ. კონიევი უხსნის მცხოვრებლებს მათი მოქმედების მთავარ მიზანს და დარიგებას აძლევს ხალხს მუშაობას მიჰყონ ხელი. ხალხი თანდათან ერკვევა და წყევა-კრულვით იხსენიებს იმათ, ვინც ისინი შეაცდინა. გუშინ, 2 ივლისს, დილით ჩვენი ჯარი შევიდა სოფ. ნატახტარში.

ოზურგეთი.

26 ივნისს ოსმალთა ჯარმა ოზურგეთის რაიონში გადმოლახა საზღვარი და სოფ. აჭი დაიკავა. ამის გამო ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი და გზათა მინისტრი. მათ ინახულეს ოსმალთა ოფიცერი, რომელმაც სთქვა, რომ საზღვრების გადალახვა გაუგებრობით მოხდა და დაპირდა დაკავებული ადგილის განთავისუფლებას.

პური.

ქალაქის საბჭოს სხდომაზე 2 ივლისს გამოირკვა, რომ სასურსათო კომიტეტის იმედი ახალციხე-ახალ ქალაქის რაიონებიდან პურის მიღების შესახებ არ გამართლდა. ოსმალებმა არა თუ მათ მიერ დაკავებული რაიონიდან არ მისცეს ნება პურის გამოტანისა, არამედ—საზღვრებიც კი გადმოლახეს და ლტოლვილთ წაართვეს პური. სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობამ გერმანიის მთავრობასთან ერთად ზომები უკვე მიიღო უკრაინიდან პურის შემოტანის შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებთათვის 2—3 კვირაში პური უკრაინიდან იქნება შემოტანილი.

პროვოკაციის ქსელი

ადგილობრივი სოც. რევოლიუციონერების პრესა.

ადგილობრივი ესერების „ტრუდოვოე ზნამიაში" რუსული დიდი ასოებით პირველ გვერდზე აწერია: „იკითხეთ რევოლიუციონური დროშა".

ეს „რევოლიუციონური დროშა" ესერების ქართული გაზეთია, რომელსაც [illegible] გენ. ვნახოთ რასა სწერს ეს გაზეთი.
პირველ ნომერში ის სწერდა: „მენშევი-
კების ლაქიობამ [illegible]
სტურმა პოლიტიკამ [illegible]
კავკასიის დემოკრატი
მთავრობამ, რომელსაც სათავეში
შევიკები უდგანან, საქართველოს
კრატია მისცა გერმანიას მსხვერპლ
როცა ოსმალეთთან ომი გვქონდ
გვაქვს, ალბათ, იმიტომ გვებრძ
ხალხი ზურგიდან, რომ გერმანიას ხ
დან გამოგლიჯონ და ოსმალეთს გა
ცენ ჩვენი ხალხი! თორემ სხვა
ხომ მათი ბრძოლა ვერ მოიტან
ტომ იგი ობიექტიურათ კონტრრევ
ციონურია.
მეორე ნომერში სწერენ: „ჩვენი
ვრობა თავისი პოლიტიკით ცდი
ქართველი მშრომელი მასსა დაუპ
პიროს სხვა მეზობლების დემოკრატ
ალბათ ყველას თუ ყმად გაუხ
მაშინ იქნები ინტერნაციონალის მს
აბა, გვიბრძანოს გაზეთმა, ვის დემო
კრატიას დავუპირდაპირეთ ჩვენ ქართვე
ლი დემოკრატია?
საზოგადოთ ბევრს სწერენ ამ გაზეთ
ში „მენშევიკების გაკოტრებაზე",
„იმპერიალისტობაზე", საქართველოს სა
ზღვრებზე—რაც არ გვეკუთვნით რამ [illegible]
ტინებითო, მაგრამ იმასთან შედარებით
რასაც მესამე ნომერში სწერს ეს გა
თი, წინანდელი ნაწერი არ
არ წარმოადგენს. ამ სახით გაზ
დაუწყია პროვოკაციის ქსელის
ბმელათ მუშაობა!
გაზეთი, ეხება რა დუშეთის აჯ
სწერს: „აჯანყება იმდენათ ძლიერ
რომ ემუქრება მთავრობის არსებობა
და მენშევიებიც ყოველ ღონისძიებას
იხმარებენ თავის ძალა-უფლების შესა
ნარჩუნებლათ; რკინითა და ცეცხლ
აპირებენ აჯანყების ჩაქრობას და ამგ
რათ, თავიანთი შეცდომა გლეხო
სისხლით უნდა აზღვევინონ, ხოლო რ
გაამართლონ გლეხების გაჟლეტა, სც
ლობენ ეს მოძრაობა კონტრ-რევოლ
ციონურათ მონათლონ და სხ."
დუშეთის და სხვა ნაძირალთა
აღმდეგ რკინა და მახვილია ამუშავე
ბული.
მოსალოდნელია ახლო ხანში ეს
რა გაიწმინდება იმ ხალხისაგან, რომელ
ნიც მცხოვრებთ მოსვენებას არ აძლ
ვენ, მაგრამ ჩვენ არ ვიცით რა საშუა
ლებით გაიწმინდება ესერების პრესა
პროვოკაციული აზრებისაგან!..

ან როდის შეიგნებენ ეს ვაჟბატონები, რომ რუსი ოფიცრები და ბოლშევიკების თავზე ხელაღებული ავანტიურისტები რომელი დღიდან ითვლებიან გლეხობათ ან გლეხების გულის მესაიდუმლეთ? ნუ თუ უსირცხვილობას საზღვარი არ აქვს?!

„მოლოდოი კომუნისტის" თანამშრომლის მ. ც—იას საყურადღებოთ

თქვენს მოგონებაში უდროოდ დაკარ
გულ ამხ. ნოე ბუაჩიძეზე მე მეხებ
სწერთ: „ზოგიერთი მენშევიკ
დულობა (მაგ. ბ. თევზაიას
ბუაჩიძე ყოფილიყოს ზოგ
ვიკი იმ მიზნით, რომ ის
როთ სხვა ჩვენს მეგობრ
არ ვსთქვათ ბოროტად გამ
სივი ჩემია) პირადი ნაცნ
მე არ მათქვამს რომ ა
ვიკი არ იყო. ის თქვენს პ
ნოდა. მაგრამ ნება მიბო
შეხედულობა მქონდეს ამა
ნებაზე, მიუხედავათ მის
იარლიკისა. თქვენ ხომ დ
თუ ვიტყვი, რომ რადიკ
უკიდურესი ბოლშევიკები
კვირველია ბოლშევიკებია,
დურესი. მე მოვიყვანე პოლ
საზრება, თუ რატომ ვ
მიერ ბოლშევიკად. მისი მთ
გის ოლქში შექმნილ პირ
იყო სახალხო საბჭოს მთა
ხისმგებელი ამ სახალხო
წინაშე. მიუხედავათ მის
თანამოაზრეების დაჟინებ
ბუთები მე მაქვს) ის ასეთ
ბას საუკეთესო საშუალებად
და დემოკრატიის გამარჯვების
ინებეთ მეორე საბუთიც. ოსმალეთის
მოტევის დროს, ამხანაგმა ნოემ ოფი-
ციალურად გვითხრა: ჯარებით ვერ მოგეშველებით, იარაღს ჯერ-ჯერობით ვერ მოგაწვდით. სანოვაგის მხრივ კი დახმარებას გაგიწევთ. მთელი ჩვენი სიმპატია თქვენკენ არის, რადგანაც ორივენი ხალხის მეგობრები ვართ, თუმცა სხვადასხვა ნაირად ვფიქრობთ დღევანდელ მომენტზე". სამეგრელოს ვითომდა ბოლშევიკები სულ სხვა ნაირი ენით გველაპარაკებოდნენ.

მესამე საბუთი. სტალინმა წინადადება მისცა თერგის საბჭოს ჩვენთვის სურსათი არ გამოეგზავნათ. ამხ. ნოემ ამას ყურადღება არ მიაქცია და წინააღმდეგ ცენტრის განკარგულებისა, თავისი დასტური მოგვცა. ამასთან ის ებრძოდა შოვინისტებს, რომელთაც [illegible] ვლადიკავკაზში და სოციალიზმის სახე-

ლით კაზაკობა—მალაკნობას ჩვენ წინააღმდეგ ამხედრებდენ. მე სახეში მყავს ყოფილი ჩინოვნიკები დეისტვინი სავეტნიკიდან დაწყებული, და ეზდის რეგისტრატორით გათავებული. არ ვარ ჩვეული, რომ პირადი ნაცნობებით ბოროტად ვისარგებლო. ჩემი ლეობა იყო მეთქვა ჩვენი დემოკრატიისთვის, თუ ყინ დაკარგა მან. შეძლებისამებრ მე შევასრულე ჩემი მოქალაქეობრივი ვალდებულება ძველი ამხანაგის ნაშე.

ბიქტორ თევზაია.

ხალი ამბები

უთშაბათს 4 ივლისს პირველ საათზე დანიშნულია საოლქო კომიტეტის ვ. დემ. მ. პარტიის კრება ბიუროს აში.

◆ ხოლერა 1 ივლისს თფილისში ლერის ნიშნებით ავათ გახდა 3 კაცი. ვნისს—7 კაცი. ერთი ამათგანი კვდა. სულ ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 24 ავათმყოფი ხოლერის ნიშნებით. მათში სამი მოკვდა. ავათმყოფები ყველანი ლტოლვილები არიან.

◆ ლტოლვილთა ბავშვები. ჯალალოღლიდან თფილისში ჩამოიყვანეს შვიდასამდე ლტოლვილი ბოვშები და მოათავსეს ნავთლუღის ყაზარმებში. რადგანაც ბავშვები დაავადმყოფებულნი არიან, მთავარი კომიტეტი ცდილობს გზავნოს ისინი საჰაეროთ.

◆ ამერიკის ვიცეკონსული ბუმენი ექიმი მინასიანი გაემგზავრენ მან ისის რაიონში, რომ ლტოლვილებს ხმარება აღმოუჩინონ.

◆ რუსთა ეროვნული საბჭო სთხოვს საქ. ერ. საბჭოს დახმარება აღმოუჩინონ ოსმალეთიდან გამოქცეულ რუს აფიცრებს და აგრეთვე იმათ ცოლ შვილს, ებიც ტყვეთ იმყოფებიან.

◆ კირიონ მე-II ჩამოსვენება. კირიონ მე-II (ცხედარი) უკვე ჩამოასვენეს ილისში და გაასვენეს საკათალიკოსო კლესიაში. გუშინ საღამოს 6 ნახევარ საათზე დასაფლავების მომწყობ კომიტეტის დადგენილებით ცხედარს წაასვენ დენ ანჩისხატის ტაძარში. ტაძრის კარები მთელი დღე-ღამის განმავლობაში იქნება. დასაფლავება მოხდება რას, 7 ივლისს სიონის ტაძარში. განსვენებულის კუბოსთან არის დაწესებული საპატიო მორიგეობა. კომიტეტი მოუწოდებს ყველას, ვისაც უნდა მონაწილეობა მიიღოს დაკრძალვაში, მორიგეობაში და სხ., ჩაეწერონ ადრე კომიტეტის წევრებთან. გვირგვინებისა და ხალების ნაცვლათ გადაწყვეტილია დაარსდეს განსვენებულის სახელობის ფონდი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ერების გამოსაცემათ. ყოველგვარი წირულება მიიღება ანჩისხატის ტაძ ამ ელო საბჭოში.

რაპიზონის მუშათა და ჯარ. ოს თავმჯდომარეს ამხანაგი ოს პრეზიდიუმის, ტრაპი ამ ჯარ.-კაც. საბჭოსა და ედრო სარევოლიუციო კო ტებს შეიკრიბონ თფილის ჯარ.-კაც. საბჭოს ოთახში დღის 4 საათზე საქმეების ა და საბჭოს ანგარიშის თ.

ალისტების კრება. დღეს საათზე თეთრ ზალაში და ლი რუსული და ქართული ანშრომლების კრება. ამო მივი ბიურო. სთხოვენ თა კრებას დაესწრონ.

საბჭო. დღეს, საღამოს 6 ის მეათე ოთახში შეს საბჭოს კრება. დღიური მუშათა კომისიის მოხსენე სი მუშაობაზე. 2) მოხ ნია და ასათიანის, 3) ახურთა შტატის შემო ანონიერი იქნება რამდე ნდა დაესწროს.

ტიულ კლუბების კონ ლსს სახალხო უნივერ ა თათბირი დემოკრა აებისა და კულტურულ საზოგადოებათა კონ წვევის შესახებ.

ალამოს 7 საათზე სახალ ტის დარბაზში, მიხეი პრისპექტი, გაიმართება მ. სმირ ვის და ბ. თევზაიას ლექციები: 1) იმპერიალიზმზე და 2) ფინანსიურ კაპიტალზე. ეს ლექციები უნდა გამართულიყო სახაზინო თეატრში, მაგრამ იქ სხვადასხვა მიზეზების გამო არ შესდგა. გაყიდული ბილეთები გამოდგება.

◆ მუშათა კლუბში დღეს 3 ივლსს: ა. ამატიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „შრომის ზეგავლა და მუშათა კლასი". ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი. ექვსი საათიდან დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

კრებები და მიტინგები

დღეს, საღამოს 7 საათზე „ერთობის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტი № 12, შესდგება გურიის თავდაცვის დამხმარე კომიტეტის კრება.

— ხუთშაბათს, 4 ივლისს, საღამოს 5 ნახევარ საათზე, მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია პირველი და მეორე თფილისის სოც.-დემ. რაიონების საზოგადო წევრთა კრება. მომხსენებელი იქნებიან ირ. წერეთელი და ვ. ვოიტინსკი.

— 6 საათზე საღამოს დანიშნულია თფილისის სახლების ყველა მოსამსახურეების პროფესიონალ კავშირის საერთო კრება სახალხო სახლში.

მუშათა წერილები

ზვარაკათ მივიტანეთ ჩვენი მასწავლებელი დემოკრატიისათვის.

დღეს ხალხის მტრებს მახვილი ხელში აქვთ აღებული მშრომელი ხალხის გულში ჩასაცემათ და ამით უნდათ ბრძოლით მოპოვებული, სისხლით მორწყული თავისუფლება ხელიდან გამოსტაცონ მას, მონათ აქციონ, კვლავ ძველებურათ, სანატრელათ გაუხადონ მას თავისუფლება, ადამიანობა; დღეს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში ამოძრავდენ შავი, ბნელი ნაძირალი ძალები და ანარქიას, არეულ-დარევას ახდენენ შეუგნებელ გლეხკაცობაში, და ამით მშრომელი ხალხი, რუსეთის რევოლიუციით განთავისუფლებული, კვლავ მიყავთ დაღუპვისაკენ, მონობისაკენ; სამწუხაროთ ზოგიერთი კუთხის გლეხობა ადვილათ ეგება პროვოკატორების მიერ გადაგდებულ ანკესს და ამით თავის თავსაც ღუპავს და მთელი დემოკრატიასაც და ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკასაც, დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში აფრიალებულ თავისუფლების წითელი დროშის დასაცემათ ირაზმებიან შავი ძალები და უცდიან მომენტს, რომ ერთის დაკვრით, აგვიგონ წესი ჩვენ მუშებს, ხელიდან გამოგვსტაცონ თავისუფლება და მისი ემბლემა—წითელი დროშა.

აი ასეთ სასტიკ-კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენ მუშები და ჩვენთან ერთად მთელი დემოკრატია.

ასეთ დროს ჩვენი რესპუბლიკის პირველი სამინისტრო გადადგა ბ მის ნაცვლად ეროვნულმა საბჭომ, მისმა დემოკრატიულ, სოციალისტურ ფრაქციებმა, ჩვენი ფრაქციის და პარტიის წინადადებით, ჩვენი პარტიის არჩევის ირ. წერეთლის ვრცელი სიტყვის, შემდეგ დემოკრატიის და ჩვენი დამოუკიდებელ რესპუბლიკის ინტერესებისათვის ზვარაკათ მიიტანა ჩვენი პარტიის მეთაური, ჩვენი მასწავლებელი ჭაღარა მამა, ერის ბელადი, სწორი გზა და ხიდის მაჩვენებელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიისა, ძვირფასი ნოე ჟორდანია. აი ამ ჩვენს მასწავლებელს მაინდვეს სამინისტროს შედგენა ამ სასტიკ მომენტის დროს. ნ. ჟორდანიაც იძულებული იყო სამინისტრო შეედგინა და უკვე შედგინა კიდეც. ბევრი ჩვენი ამხანაგები, განსაკუთრებით პროვინციელი ამხანაგები, ორგანიზაციები გაოცდებიან, გაუკვირდებათ ალბათ ჩვენი მასწავლებლის სამინისტროში შესვლა და ვინ იცის ამხანაგებთა შორის რამდენი თავის საყვედურს და მწუხარებას გამოთქვამენ ნოეს და ჩვენი პარტიის უმთავრეს ორგანიზაციის მიმართ, რომ ასეთი ნაბიჯი გადადგით; მაგრამ დღეს უკვე ფაქტი მოხდა, ნოე სამინისტროშია ერის და თავისუფლების ინტერესების დასაცველათ.

ამხანაგებო! ჩვენც არ ვიყავით იმის მოსურნე, რომ ჩვენი მასწავლებელი, პარტიის ბელადი ყოფილიყო სამინისტროში, ჩვენც ვსწუხვართ ერთის მხრით, რომ ჩვენი პარტია იძულებული გახდა შექმნილი მდგომარეობის გამო ძვირფასი ნოე გაეგზავნა სამინისტროში. მაგრამ რა უნდა ექნა, რა გზას უნდა დადგომოდა ჩვენი პარტია, როდესაც თავისუფლების და რესპუბლიკის ბედის ჩარხის ტრიალი ბნელი ძალების მეოხებით, ზოგიერთ კუთხის ხალხის შეუგნებლობით უკუღმა აპირობს შებრუნებას? ჩვენმა პარტიამაც ამისათვის ზვარაკათ მოიტანა დემოკრატიის და ჩვენი ქვეყნის რესპუბლიკისათვის დემოკრატიის საყვარელი მასწავლებელი ნ. ჟორდანია.

შეიძლება ჩვენი პროვინციელი ამხანაგები მაინც ვერ შეურიგდენ იმ აზრს, იმ მოხდარ ფაქტს, რომ პარტიის ბელადი სამინისტროში შევიყვანეთ და კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაგვატარონ ასეთი დადგენილებისათვის, მაგრამ გახსოვდეთ ამხანაგებო, რომ ჯერ ხალხი, დემოკრატია, თავისუფლება არის ჩვენთვის პირველი და შემდეგ პარტია. უხალხოთ, უეროთ ჩვენ პარტიას რა ადგილი უნდა ქონდეს? აი როდესაც ჩვენს წინაშე ასეთი კითხვა წარმოიშვა ჩვენი პარტია იძულებული იყო ასეთი ნაბიჯი გადაედგა დემოკრატიის და თავისუფლების დასაცველათ. პარტიის დადგენილების თანახმად ძვირფასი პარტიის მასწავლებელი იძულებულიყვეს სამინისტროში შესულიყო. შეიძლება ვერც ამან იხსნას, ვერც ამ გზამ იხსნას დემოკრატია განსაცდელისაგან და ისიც დამარცხდეს ამ ძლიერ გზაზე, მაგრამ ჩვენ მაინც ვიტყვით ისტორიაც გაგვამართლებს, რომ ყოველგვარი ზომები, საშვალებები ვიხმარეთ რაც კი გაგვაჩნდა და მაინც დავმარცხდით. ამისათვის დემოკრატია შემდეგში, როდესაც ფეხს მოიდგამს მეტის შეგნებით კვლავ აღსდგება დამარცხების შემდეგ. და როდესაც გაითვალისწინებს დღევანდელ პირობებს ჩვენი დემოკრატია ჩვენ გაგვამართლებს და კვლავ ჩვენთან იქნება ჩვენი წითელი ინტერნაციონალურ დროშის ქვეშ. მაგრამ ჯერ ნაადრევია იმის თქმა თუ ვინ დამარცხდება, ჩვენ დემოკრატიასთან ერთად თუ ჩვენი დემოკრატიის მტრები ნაძირალებთან ერთად. ამისათვის ამხანაგებო, როგორც დღეს მთავრობაში ჩვენი ბელადია და რესპუბლიკის საქმე ხელში უჭირავს, სწორი გზით წასაყვანათ, ჩვენი ვალია, რომ მთელი ჩვენი ენერგია, სიცოცხლე, სიამოვნება შევსწიროთ ჩვენს დემოკრატიას, თავისუფლებას ისე როგორც ყოველთვის გვიქნია მთელი ჩვენი პარტიული აპარატები, ძალები უნდა ფეხზე დადგეს, ძლიერის ენერგიით ამუშავდეს ჩვენი ბელადის მუშაობასთან ერთად.

ამხანაგებო! დღეს ჩვენთვის კრიტიკული მდგომარეობაა. თავისუფლებას განსაცდელი მოელის, დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას—გათელვა, აი ამისათვის ჩვენ დღეს უნდა ვიბრძოლოთ ყოველი მიზანშეწონილი საშვალებით. რეაქციონერები თავის საქმეს აკეთებენ უკვე აშკარათ; ჩვენი დემოკრატიის პირდაპირი მოვალეობაა მტერს მტრულად შეხვდეს. მტრის მიერ აღებული მახვილი ჩვენთვის ჩასაცემათ ამართული თვით მტრებს უნდა ჩავცეთ ენერგიულად ჩვენს თავისუფლებას ვერავის დავანებებთ უბრძოლველად მანამდისა, სანამ ჩვენი სისხლი შეგვრჩენია

ამხ. მუშებო! გახსოვდეთ, რომ მტერს არ სძინავს, იგი მოქმედობს, ჩვენი ვალია ფრთხილათ ვიმუშავოთ, ჩვენი დემოკრატიის დაწყებული საქმე თანდათანობითი ვაშენოთ, ვაძაგროთ და თუ ვინმე წინ გადაგვეღობა, დაწყებულ საქმეს დემოკრატიისას დანგრევა დაუპირა, ჩვენი ვალია, როგორც რევოლიუციონერები, ბრძოლა გავმართოთ და ვინც დავიხოცებით წითელი დროშით ხელში, ჩვენი იდეის, თავისუფლების სიყვარულთან ერთად თანვე ჩავიტანთ ჩვენი ძვირფას მასწავლებელ ნოეს სიყვარულს. ვინც დავრჩებით, წინ გავსწიოთ, სანამ გამარჯვების ალამი საბოლოოთ არ აფრიალდება და რევოლიუციის ნაადრძევი თავისუფლება მტკიცე და შეურყეველი არ გახდება. ან სიკვდილი, ან გამარჯვება, სხვა გზა დღეს არ არსებობს.

აკ. პლებეიშვილი.

ერობის და ქალაქის თვითმართ. კურსები თფილისში

30 ივნისიდან ქალთა მესამე გიმნაზიაში გაიხსნა კურსები. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საქმის მოწყობა ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს.

ქალაქის თვითმართველობები და ერობები რევოლიუციონურმა დემოკრატიამ თავის ინტერესების თანახმად უნდა მოაწყოს. წინათ ეს დაწესებულებები ბურჟუაზიის საჯირითო მოედანი იყო. დღეს სწორი დემოკრატიული პრინციპებზეა აგებული. საჭიროა იმის შესწავლა, თუ როგორი მუშაობა უნდა გაჩაღდეს ამ დაწესებულებებში. ამ მიზანს ემსახურება ეს კურსები.

მაგრამ, სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ კურსებს ცოტა ესწრება, პროვინციიდან 15 კაცია ჩამოსული მხოლოდ ქ. სამტრედიის სათანადო ყურადღება მიუქცევია. სხვადასხვა დაწესებულების [illegible] 6 კაცია გამოგზავნილი. საზოგადოებრივ დემოკრატიული ორგანიზაციები [illegible] ამ სერიოზულ კითხვას ძალიან გულგრილათ მოკიდებიან. რომელიც არა მარტო დაუდევრობაა, არამედ დანაშაულადაც უნდა ჩაითვალოს. კურსების გახსნის შესახებ დიდი ხანია დაბეჭდილი იყო გაზეთებში, „ერთობაში" კურსების დაწვრილებითი პროგრამა იყო დაბეჭდილი, საგანგებო განცხადებებიც იბეჭდებოდა, მაგრამ როგორც სჩანს ჩვენ პროვინციელ ამხანაგებისთვის ამას უქმათ ჩაუვლია. ეს კი დანაშაულია!

კან—კანიძე.

ქალაქის საბჭო

1 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

განსახილველია მთელი რიგი საკითხებისა. თავმჯდომარე კრების გახსნის შემდეგ აკეთებს მოხსენებას გიორგი ვ. პლეხანოვის სიკვდილის შესახებ, ის ვრცლად ეხება პლეხანოვის მრავალ მხრივ მოღვაწეობას და მის მნიშვნელობას როგორც რუსეთის, ისე საერთაშორისო პროლეტარიატისათვის და ამბობს, რომ პლეხანოვის სიკვდილმა უნდა შეაძრწუნოს რუსეთი, დაღუპვის გზაზე დამდგარი და გონს მოიყვანოს გზა-კვალ აბნეული მუშები და გლეხები. აზატიანს ს. დემოკრატიული ფრაქციის სახელით შეაქვს წინადადება, რომ პლეხანოვის სახელის აღსანიშნავად მიხეილის პროსპექტს ეწოდოს პლეხანოვის ქუჩა, აგრეთვე ერთ-ერთ ქალაქის სკოლას ეწოდოს პლეხანოვის სახელი. წინადადება მიიღო საბჭომ და აირჩია კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი, კომისიას დაევალა პლეხანოვის პატივსაცემად გამოიმუშაოს გეგმა. საბჭოს თითქმის ყველა ფრაქციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მწუხარება პლეხანოვის დაკარგვის გამო.

საბჭომ მოისმინა მოხსენება ქალაქის თავის 25 მილიონიანი სესხის აღების შესახებ და დაადგინა დროებით ასეთი სესხის აღება გადადოს, მხოლოდ გამოითხოვოს ქალაქის გამგეობამ მთავრობისაგან 5 მილიონი მანეთი. პოპოვმა გააკეთა ვრცელი მოხსენება სურსათის მდგომარეობის შესახებ თფილისში და წინადადება მისცა საბჭოს ქალაქის დუქნები გააუქმოს და ყოველგვარი საქონელი გადასცეს კოოპერატივებს, რომ მით მიაწოდონ როგორც წევრთ, ისე არა წევრთ ყოველგვარი საქონელი. ზოგიერთი ქალაქის დუქნებიც კოოპერატივებს გადასცეს იმ პირობით, რომ დუქნებში მომუშავე პირნი კოოპერატივებმა მიიღონ თავიანთ შტატებში. საბჭომ პოპოვის წინადადება მიიღო. საბჭომ ქალაქის გამგეობის წინადადებით 15,000 მანეთი გადასდო ვოგზალის ქუჩის კანალიზაციის შესაკეთებლად. თავმჯდომარემ საბჭოს მოაგონა წინა სხდომაზე შეტანილ შეკითხვის გაგრძელება. შემოდის ორი წინადადება: ერთი მოითხოვს ამ შეკითხვაზე კამათის განახლებას, მეორე კამათის შეწყვეტას. მიღებულ იქნა მეორე წინადადება. ს. დემოკრატიულ ფრაქციის შეაქვს შემდეგი წინადადება: მოისმინა რა შეკითხვა და ქალაქის თავის მიერ მიცემული განმარტება, საბჭო გადადის მორიგ საქმეებზე. ეს წინადადება მიღებულ იქნა.

აკ. ს—უ.

მოწოდება

დუშეთის მაზრის მოქალაქენო, ბარის, მთიულეთის, გუდამაყარის და ხევის მცხოვრებნო, გაზეთებმა და ტელეგრამებმა კიდით-კიდემდი მთელ ქვეყანას მოსდეს, გააგებინეს; რომ თქვენ უღალატეთ რევოლიუციას, რომ თქვენ უღალატეთ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომ თქვენ უღალატეთ სამშობლოს და ანგრევთ დემოკრატიულად მოწყობილ საქართველოს;

რომ თქვენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს ხალხის მტრების გასახარელ საქმეს შვრებით; რომ თქვენ აჰყოლიხართ მაწანწალების ხალხის მტრების სიტყვას, რომლებიც თქვენში დაძვრებიან და ხალხის მთავრობას გაძულებენ, იმ მთავრობას, რომელიც სულ სოციალისტებისაგან არის შემდგარი;

გაძულებენ იმ მთავრობას, რომელიც მსხვილს მემამულეებს მიწებს ართმევს და თქვენ და სხვა თქვენსთანა უმიწაწყლო ხალხს აძლევს;

იმ მთავრობას გაძულებენ, რომელმაც ხალხის საქმე თავის საქმედ გაიხადა და ცდილობს ხალხს გაუადვილოს ცხოვრება-სიცოცხლე...

დღეს, როცა ხალხის მტრები ებრძვიან თქვენს მთავრობას და ბედს უშლიან, ხალხის საქმის მტკიცედ მოწყობას არ აძლევენ, თქვენც შეცდომით ხალხის მტრებს ამოსდგომიხართ გვერდში და იარაღით ებრძვით მას.—მაშინ, როცა იარაღით ხელში ხალხის მთავრობას და რევოლიუციის სახალხო გვარდიასთან ერთად უნდა იცავდეთ; მუშათა წითელ გვარდიას (სახალხო გვარდიას) თქვენი მტრათ სახავთ და ებრძვით. ძმათა სისხლს, მტრების გასახარებლად და გასაძლიერებლად ღვრით, ხოლო ამით სახალხო საქმეს, მაშასადამე, თქვენ საქმესაც აფუჭებთ. მუშათა წითელი გვარდია, რომელიც შედგება მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა რევოლიუციონურმა ცენტრმა თოფით ხელში იცავს რევოლიუციას, ხალხის თავისუფლებას, დემოკრატიულ რესპუბლიკას და მიწას ხალხისთვის კონტრ-რევოლიუციისაგან ძველი ბატონებისა და მათგან შეცდომაში შეყვანილი აღელვებული ხალხის გამოსვლებისაგან, როგორც დღეს...

მუშათა წითელი გვარდია ებრძვის გარეშე მტერს, რომელიც ცდილობს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკას მიწა-წყალი ძალით დაიპყროს და მოსპოს ხალხის მმართველობა და ოსმალეთის წესები შემოიღოს ჩვენში, ხოლო ჩვენს ხალხს ისე მოეპყრას როგორც მოეპყრო სომხის ხალხს. თქვენში დაძვრებიან სხვადასხვა რჯულის პროვოკატორები ([illegible]), ხალხის მტრები. ამათში ნახავთ ქართველებს, რუსებს, ოსებს და სომხებს. ამისთანა ხალხმა დაანგრია რუსეთის სახელმწიფო, დაღალა რუსეთის რევოლიუცია. ხალხი ხალხის წინააღმდეგ აამხედრეს თოფით, ერთიმეორეს მიუსიეს და საერთო საქმე გვერდზე მიაგდებინეს.

აი მათ ახლა თქვენც გაგაბრიყვეს და ხალხის მთავრობის ჯავრისა და თავიანთ ხალხის წინააღმდეგ თოფით გამოგიყვანეს. [illegible] ხალხი მაგისი! [illegible] რის სისხლი [illegible], მტრობა [illegible] მაშინ, როცა მეფემ ჩამოართვა მუშავა ხალხის მთავრობა და გლეხთა (თქვენ) დეპუტატების საბჭოთა [illegible] ...

[illegible] დღეს თქვენი [illegible] მდგომარეობა მეტი დამღუპველია ჩვენი მაზრისთვის და საერთოდ სახალხო საქმისთვის. ამიტომ შესდგა თქვენ მეზობელთა და მეგობართაგან ჯგუფი, რომელმაც მოიწვია თფილისში მცხოვრები დუშეთის მაზრის მოქალაქენი, რომ თქვენთვის საჭირო დახმარება აღმოეჩინა.

ყრილობამ გაითვალისწინა თქვენი დღევანდელი მდგომარეობა, იქონია მსჯელობა, თუ როგორ უნდა მიგხმარებოდით ამ გასაჭირის დროს, აირჩია დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი.

კომიტეტს დაევალა კრების გან მოგმართოთ მოწოდებებით, აგიხსნათ საქმე, გაგაგებინოთ სიმართლე და დაგიხსნათ გაუგებრობისაგან; მოგაწოდოთ ყოველნაირი ცნობები და შუამდგომლობა გაგიწიოთ მთავრობასთან და ხელი შეგიწყოთ გაჭირვების თავიდან ადვილათ აშორებაში, დაგაკავშიროთ ხალხის ინტერესების დამცველ მთავრობასთან, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოთა გაერთიანებულ ცენტრთან თფილისში.

ამიტომ მოგმართავთ დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი დუშეთის მაზრის მცხოვრებთ, ვისაც მშვიდობიანი ცხოვრება და შრომა უნდა და არ არის ხალხის მტერი.

ვისაც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მიწა წყალზე მცხოვრებელ ქალაქისა და სოფლის მშრომელ ხალხთან ერთობა და მათთან ჭირსა და ლხინში, ერთად ყოფნა უნდა, დაჰყაროს იარაღი დემოკრატიის ხალხის მთავრობას!

დაუჩქაროს მიწების ჩამორთმევა კომისიას, რომ ჩქარა მოთავდეს მიწების ჩამორთმევა და შემდეგ სოფლის მუშებს შორის განაწილება. თქვენი დამხმარე კომიტეტი გაცნობებთ, რომ ყოველი საჭირო საქმისთვის შეგიძლიანთ მიმართოთ მას თფილისში, სასახლეში გლეხთა დეპუტატების საბჭოს ბინაზე ოთახი № 10, ტელეფონის № 13—07, დღის 9—3 საათამდე.

დუშეთის მაზრის მცხოვრებთა დამხმარე კომიტეტი.

P. S. კომიტეტი სთხოვს სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს მოწოდება.

სახალხო გვარდიის შტაბის მოწოდება

მძიმე განცდის წუთებში, როცა რესპუბლიკა, რევოლიუცია და მისი მონაპოვარი საფრთხეშია ჩავარდნილი. რესპუბლიკას ემუქრება მტერი [illegible] ხით. რესპუბლიკის მეთაურის ბრძანებით საჭიროა დაუყონებლივ დუშეთში მომხდარ ამბების ლიკვიდაცია და საუკეთესო ძალები სახალხო გვარდიისა და ჯარისა უკვე დაიძრენ რევოლიუციის წინაშე თავის მოქალაქობრივი მოვალეობის ასასრულებლად. მაგრამ, შესაძლებელია, რომ ამ უპატიოსნო ბოლშევიკური მოძრაობის ხელმძღვანელი მიიღებენ ყოველგვარ ზომებს, რომ თავის გარშემო შემოიკრიბონ ნორჩი რესპუბლიკის ყველა მტერნი და იმ დროს, როცა თფილისის პროლეტარიატის საგრძნობი ნაწილი ფრონტზე იმყოფება, გამოვიდენ და ზურგიდან მახვილი ჩაგვცენ. სახალხო გვარდია ამის დაშვება შეუძლებლად მიაჩნია, მას მუდამ ახსოვს, რომ ფრონტზე გამარჯვება მხოლოდ მაშინ არის უზრუნველყოფილი, როცა ზურგი გამაგრებულია და ჩვეულებრივი მუშაობა სწარმოებს. ფრონტს სჭირია „რეზერვი", სურსათი, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ზურგში მისი ოჯახი უზრუნველყოფილია, ამიტომ სახალხო გვარდიის შტაბი მოუწოდებს ყველა ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს, რომელთაც აქვთ იარაღი შტაბის მოწმობით, გამოცხადდნენ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში სარეგისტრაციოთ და მიიღონ მონაწილეობა მუშაობისაგან თავისუფალ დროს ქალაქის დაცვის საქმეში; დაიჭირონ ყარაულები, „პოსტები", მიიღონ მონაწილეობა პატრულობაში და ამით საშვალება მისცენ თავისუფალ ნაწილებს ფრონტისაკენ დაიძრან. მთავარ შტაბს აქვს ცნობები ყველა იმ პირთა, რომლებსაც იარაღის ტარების მოწმობა აქვთ მიღებული შტაბიდან, იცის მათი საცხოვრებელი ადგილი და კანტროლს გაუკეთებს მათ. ყველა იმას, ვინც არ გამოეხმაურება ამ მოწოდებას იარაღი აერთმევა და შეაიარაღებს მათ, ვინც ნამდვილად ემსახურება რევოლიუციას.

მოქალაქეები უნდა გამოცხადდენ სასახლეში მე-15 ოთახში დილის 9 საათ. 12 საათამდე. მასთან ხელთ უნდა ჰქონდეთ იარაღის ტარების ნებართვა შტაბისაგან მიღებული.

მთავარი შტაბი სახალხო გვარდიისა.

ერობის [illegible]

თფ. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც განაგებს საერობო არჩევნების საქმეს თფილისის მაზრაში, რათა [illegible] მონაწილეობა მიიღოს [illegible] პარტიები და ჯგუფები, დამატებით აცხადებს, რომ [illegible] 7 ივლისს სათვის საერობო არჩევნები სართიჭალის ოლქში [illegible] 14 ივლისისთვის, ყარაიაზის ოლქში დანიშნულია 12 ივლ. არჩევნები მოხდება 19 ივლისს, აგრეთვე გადაიდება [illegible] ების წარმოდგენისა ერთი კვირით. სართიჭალის ოლქიდან წარმოდგენილი სიები არა უგვიანეს 4 ივლისისა, ყარაიაზის ოლქიდან კი არა უგვიანეს 9 ივლისისა საოლქო საარჩევნო კომისიას. ხმოსანთა რიცხვი ისეა განაწილებული: სართიჭალაში—17 ხმოს. ყარაიაზში—56 ხმოსანი. წარმოდგენილი სიები ხელმოწერილი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 ამომრჩევლისა და მიიღება ერთ-ერთ ამომრჩევლისაგან. კანდიდატები თავის თანხმობას აცხადებენ იმავ სიაზე, ანდა წერილობით აცნობებენ საოლქო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს ორი დღისა სანამ საყოველთაოდ გამოცხადდებოდეს, წაკალ. სართიჭალის რაიონიდან არა უგვიანეს 5 ივლისისა და ყარაიაზისაში—არა უგვიანეს 10 ივლ., წინააღმდეგ შემთხვევაში სიიდან ამოირიცხება. სართიჭალის საოლქო კომისია მოთავსებულია სართიჭალაში, სოფლის კომისრის კანცელარიაში. ყარაიაზისა კი დროებით მოთავსებულია მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის [illegible], [illegible] დიდის ქუჩაზე № 22, მიწათმოქმედ სამინისტროში, მესამე სართული, პირველი ოთახი შესვლიდან მარცხნივ.

თფილისის მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი [illegible] სთხოვს [illegible] ნობს და ნაციონალურ პარტიებს და ჯგუფებს, რომ კომიტეტს [illegible] მხარის სიუხვის გამო, საარჩევნო ბიულეტენების დამზადება და დარიგება მათი კერძო ინიციატივის საქმეა, მხოლოდ საჭიროა დაცულ იქნას შემდეგი ფორმალური მხარე: ზომა საარჩევნო ბლანკებისა, რომელზედაც ხმოსანთა სახელი და გვარი იქნება გამოცხადებული უნდა იყოს დაახლოვებით თაბახის ერთი მერვედი, ფერად თეთრი. ბიულეტენები საარჩევნო ყუთში ჩაშვების დროს უნდა იყოს უკონვერტოთ და დაკეცილი ისე, რომ დაწერილი მხარე არა სჩანდეს.

[illegible] საარჩევნო ბლანკებისა აქვს მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმს და მსურველთ შეუძლიათ მიიღონ.

თფ. მაზრის აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

შვეიცარიის სახალხო ჯარი

შვეიცარია ყველას გაგვგონია. ალბათ ბევრიც ნატრობს, ერთი ნახვა შვეიცარია მანახაო. მეც ისე ვნატრობდი წინათ.

1905 წლის რევოლუციამ ეს ნატვრა ამისრულა ჩემდა უნებურათ ამოვყავი იქ თავი.

არა თუ ნახვა, არამედ კაი 12 წელი მომიხდა შვეიცარიაში თავის შეფარება, მუშაობა, ჰაპონწყვეტა.

იქნება ვისმეს გონია, რომ შვეიცარიაში ცხოვრებას ჰაპონ-წყვეტა არ უნდა? იქნება გონია რომ იქ თხა და მგელი ერთად სძოვენ!

თუმცა ჩემს დღევანდელ საკითხს შვეიცარიის ჯარზე საუბარი შეადგენს, მაგრამ ორიოდე სიტყვა უნდა ვუპასუხო ზემო დასმულ კითხვას.

ვისაც ფული აქვს, იმისთვის შვეიცარიაში ყოფნა კარგია, სამოთხეა.

ხოლო მუშა მშრომელთათვის კი პირობები მეტად მძიმეა. ამ მძიმე პირობების გამო მუშა ხალხი სულ დაბეჩავებული, უკან ჩამორჩენილია და არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თუ სოციალიზმმა არ მოუსწრო, ან და თუ ჩვენი ამხანაგების სოციალ-დემოკრატების გავლენამ არ იმატა, თუ ამ უკანასკნელებმა ვერ შესძლეს ეს სამუშაო პირობები გამოაკეთონ, მაშინ შვეიცარიის მუშა ხალ გადაგვარების გზაზე შედგება.

ხშირათ ჩვენი ამხანაგები იქ ადარ დენ შვეიცარიას და რუსეთს ერთმან და ძრიელ ხშირათ პოვებდენ რუს მუშისათვის უკეთეს პირობებს შვეიცარიაში. ეს ნიკოლოზის დროს. მახსოვს ერთი ამხანაგის სიტყვები:

ჩვენში შვეიცარიაში მეფობს და ბატონობს კაპიტალი. ჩვენ მუშები ამ კაპიტალის მონები გამხდარვართ.

რუსეთში მეფობს ერთი მხრით მეფე—მეორეს მხრით კაპიტალი. [illegible] შემთხვევა რომ ეს ორი მეგობარი თათ ვერ თავსდება.

ერთის ინტერესი ეწინააღმდეგება მეორისას. აქ ხდება მათში [illegible] განხეთქილება და ამ დროს მესამე მოყურიმდე მუშათა კლასი ითბობს ხელს.

ვინც გაიცნობს შვეიცარიას ვის ზურგზე განიცდის იქაურ ის დამეთანხმება, რომ თვით ნი ზის დროსაც სამუშაო პირობები სჯობდა. ახლა ხომ ჩვენში [illegible] ალ [illegible] მუშაობს. საუბედუროთ ბევრი ამხანაგსაც კი ავიწყდება ის პოლიტიკურ-ეკონომიის აბნ [illegible] ჭეშმარიტება, რომ რაც წარმოება მაღლა დგას—განვითარებულია, მაშინ შეიძლება მუშის ხელფასის მაღლა აწევაც.

მარა შვეიცარიის ჯარზე:

შვეიცარიაში არის სახალხო ჯარი—მილიცია.

სამსახურის ვადა არის ექვსი კვირა

და შემდეგ ყოველ წელს სამი—ოთხი კვირა.

სამხედრო წესებს, სროლას; ვარჯიშობას შკოლაშივე ასწავლიან. ამიტომ ექვსი კვირის სამსახური სრული საკმარისია.

ყველა შვეიცარიელი მოვალეა სამხედრო სამსახური შეასრულოს. გამონაკლი ცოტაა.

ყველა სიამოვნებით მიდის ამ მოკლე ხნით სამხედრო სამსახურში.

იშვიათი შემთხვევაა, რომ იქ სამსახურზე ვინმემ უარი განაცხადოს. ის კი არა ადრევე ეწერებიან. სასახელოთ მიაჩნიათ ესეთი სამსახური.

თავს მოსწონთ სალდათის მუნდირით.

თავი მოსწონს თვით შვეიცარიელებსაც თავისი ჯარით. როცა ქუჩაში ჯარი მოდის, ერთი ამბავია მაშინ იქ. დიდი, პატარა, ქალი—კაცი, ყველა ქუჩაში გამორბის რომ შეხედოს ამ თავისუფალ რესპუბლიკის დამცველ ჯარს.

მაშინ მე ანტიმილიტარისტი ვიყავი. ეს ასეთი პატივისცემა ჯარისადმი მაკვირვებდა, მაბრაზებდა. მართალია ისეთი დისციპლინა, ისეთი სასტიკი წესრიგი არსებობს შვეიცარიის ჯარში, წარმოიდგინეთ, ამ მოკლე ხანშიც ბევრისათვის აუტანელი ხდება. ბევრი თავსაც იკლავს.

ასეთი მილიტარიზმის წინააღმდეგი ჩვენ სოციალ-დემოკრატები მუდამ ვიქნებით.

ერთი მაგალითი იქაური სისასტიკისა.

ერთი ჩემი მეგობარი ახალ-გაზრდა შვეიცარიელი გაიწვიეს სამსახურში. აქ ვარჯიშობის დროს ერთმა სალდათმა უცაბედათ უკან მოიხედა. ამისათვის სალდათი დასაჯეს. როცა ამ უკანასკნელმა სიტყვა შეუბრუნა აფიცერს, აქ აფიცერმა სალდათს გაარტყა და კარცერშიც ჩასვა. სალდათმა ვერ აიტანა შეურაცხყოფა და კარცერში თავი ჩამოიხრჩო.

როცა იგივე განყოფილება ჯარისა გამოიყვანეს სავარჯიშოთ და აფიცერი მკვლელი მოვიდა—მაშინვე ერთმა სალდათმა წელზე ჩამოკიდებული დანა მოიხსნა; აფიცერს ფეხებში მიუგდო და მიაძახა: „მკვლელო შენთან ვერ ვივარჯიშებთო."

ამას მიბაძა მთელმა განყოფილებამ და გაშტერებული აფიცერი დარჩა მარტო. თოფებიც იქ დაუტოვეს.

ეს იყო თითქმის პირველი შემთხვევა მთელ შვეიცარიაში ჯარის ურჩობისა.

ამაზე დიდი საქმე ატყდა. ჩვენი პარტიის დახმარებით, პარტიის თავმჯდომარე შტუდერი იცავდა მათ, ყველა სალდათები გაამართლეს. მარა ყოფილა შემთხვევა, რომ უფრო მცირე დანაშაულობა ურჩობისთვის მძიმედ დაუსჯიათ სალდათი.

ასე! მიუხედავათ ასეთი დისციპლინისა, ასეთი სისასტიკისა შვეიცარიელი მაინც სიამოვნებით მიდის ჯარში და ამ ჯარს დიდი სიყვარულიც აქვს დამსახურებული.

ზემოთ დავწერე რომ მე მაბრაზებდა, მაღელვებდა ასეთი ჯარის სიყვარული, პატივისცემა შვეიცარიელების მხრით.

თურმე მე ვცდებოდი...

ამ დღეებში ტრამვაით დაგვიანებულ კრებიდან მშიერი სახლში მივეშურებოდი. ერთ დიდ და ფართე ქუჩაზე მესმის სიმღერის ხმა. ვნახოთ მოდის ჩვენი რესპუბლიკის ჯარი. მოდის მწყობრათ, ლამაზათ, სიმღერით.

მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი მეზობლები ტრამვაიში ცოტა არ იყოს არც სულ კაი სიტყვებით ამკობდენ ამ ჩვენს გვერდში მიმავალ ჯარს, მე კი დიდ სიამოვნებას ვგრძნობ. ჩავცქერდი ყველა სალდათის სახეს. მინდა გაუღიმო, გამარჯობა ვუთხრა, მოვეხვიო, გადავკოცნო.

ესენი ხომ ჩვენი თავისუფლების დამცველები არიან. ესენი ხომ ჩვენი რესპუბლიკის ჯარია. ნეტავი ზებერი არ ვიყო. ნეტავი მეც ამათთან ვიყო... ჩემს აღტაცებას, აღფრთოვანებას საზღვარი არ აქვს. ჩემმა ტრამვაის ვაგონმა გაასწრო ამ საყვარელ ჯარს.

ათ-შაურიანი ბილეთი ნაყიდი მაქვს, მარა ეს ვილას ახსოვს. გადმოვდივარ ვაგონიდან და მივყვები ამ თავისუფალ ქვეყნის თავისუფალ ჯარს და თან გუნებაში ვიძახი: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ ჯარს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

...აქ მომაგონდა შვეიცარია... მომაგონდა ჩემი უნდობლობა, სიძულვილი იქაურ ჯარის შესახებ და როგორღაც შემრცხვა... თავი ჩავღუნე და უკან გამოვბრუნდი...

როდის ვიყავი მართალი! იქ თუ აქ!

ამაზე მეორეთ. ს. დოლიძე.

ზუგდიდის ამბავი

27 ივნისს ღამით 4 საათზე ბოლშევიკების „ბანდამ", 500-მდე კაცმა ალყა შემოარტყა ზუგდიდს და სროლა აუტეხა. პირველად დაესხენ ციხეს, გაალეს ის და გაანთავისუფლეს ტყვეები. ციხეზე დაცემის დროს მოჰკლეს ერთი ზედამხედველი. ტყვეების ერთმა ნაწილმა, რომელთაც მცირე სასჯელი ჰქონდათ, ისურვეს ციხეში დარჩენა და არ გაქცეულან. ზოგიერთი გაქცეული ტყვეები იმავე დილას დაიჭირეს ზუგდიდის მილიციონერებმა და გვარდიამ.

ბოლშევიკების „ბანდის" სროლას სროლითვე უპასუხა ზუგდიდის გვარდიამ და მილიციამ, რომელიც 150-მდე კაცს შეადგენდენ. გაჩაღდა ბრძოლა. რამოდენიმე წუთს შეწყდებოდა ის და ისევე მეორდებოდა უფრო მკაცრად და გრძელდებოდა საათობით. ზუგდიდიდის დაცვას ხელმძღვანელობდა მაზრის კომისარი ამხ. ი. ბაბალუა სხვების დახმარებით.

27 საღამოს ბოლშევიკების ბანდამ დელეგაცია გამოუგზავნა ზუგდიდლებს. გამოირკვა, რომ თავდამსხმელები მოსული იყვენ სამურზაყანოდან და სამეგრელოს სხვადასხვა სოფლებიდან.

დელეგაციამ განუცხადა ზუგდიდლებს:

მოგვეცით ჩვენი მოღალატენი კომისარი და მილიციონერები და ჩვენ მოვხსნითალყას და წავალთო, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქს ავიღებთ და ჩვენსას ვიზამთო, ამისათვის საკმაო ძალა გვაქვსო. ჩვენ მხოლოდ იარაღს ავყრით იმათ თავიანთ სახლში წავიყვანთ, არ დავსჯითო.

საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკების სამურზაყანოილი „ბანდა" არ სცნობს ჩვენს მთავრობას სამურზაყანოელ მცხოვრებთა წინააღმდეგ და აიტომ სამურზაყანოს ნაწილის კომისარი იძულებული შეიქნა ზუგდიდში გამოქცეულიყო თავისი მილიციონერებით.

ამაზე ზუგდიდლებმა უპასუხეს: „ჩვენ ვემორჩილებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას და ვიცავთ მის კანონებს.

სამურზაყანო ხელშეკრულების თანახმად შედის აფხაზეთის ტერიტორიაში და აქვს თავისი თვითმართველობა. და თუ მოხელეებმა რამე დაგიშავათ, მიმართეთ თქვენს კანონიერ მთავრობას სოხუმში. თუ ის გვიბრძანებს, ჩვენ დავიჭერთ თქვენს კომისარს და მილიციონერებს და წარვუდგენთ მათ. თქვენ იარაღით გვესხმით თავზე. ეს თავდასხმაა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე. ჩვენ მზათა ვართ დავიცვათ ჩვენი თავისუფალი საქართველო უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. თუ დავდასხმას განაგრძობთ, მზათ ვართ პასუხი გაგცეთ, როგორც მტრებს. ჩვენ ზურგს გვიმაგრებს საქართველოს რესპუბლიკის ჯარი".

ასეთი პასუხი წერილობითი გადასცეს დელეგატებს და გაუშვეს.

27 ღამეს მეორე დილამდე განუწყვეტელი სროლა იყო. 28 დილას ზუგდიდში შემოვიდა ჩვენი ჯარი—ღლონტის რაზმი. ოთხჯერ ზარბაზნები ისროლეს და სროლა მიწყნარდა.

ბრძოლის დროს ზუგდიდლებმა ტყვეთ ჩაიგდეს ბოლშევიკების ბრბოდან 50-მდე კაცი. მოუკლეს სამი. დაუჭრეს რამოდენიმე. სოფლები ამბობენ—მკვდრები და დაჭრილები კიდევ ყავთ იმათო.

ზუგდიდლების მხრივ მოკლულია ციხის ზედამხედველი და დაჭრილია ერთი ყველა განცვიფრებაში მოიყვანა ზუგდიდის გვარდიის და მილიციონერების სიმამაცემ. მათი სიმამაცე მისაბაძია ყველა იმათთვის, ვისაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა უყვარს.

ლ. ე.

მესხეთ-ჯავახეთის ლტოლვილთა შორის

მრავალის ტანჯვის, ყოველის ქონების, საცხოვრებელის, თვისთა ნათესავთა დაკარგვის და შემაძრწუნებელის თავზარდამცემის შიშის შემდეგ, რომელიც გამოიწვია ბარბაროს თათართა შემოსევამ, ჯავახეთის და მესხეთის ქართველთა მომეტებულ ლტოლვილთ ამოაღწიეს ბორჩალოს მაზრის სოფელ რეხაში და შეეხიზნენ აქაურს მცხოვრებლებს. ლტოლვილთა რიცხვი სოფ. რეხაში 8000 სულზე მეტია. სახლები, ბოსლები, საბძლები და დერეფნები გაჭედილია ლტოლვილებით; მომეტებულნი ყრიან ცივ, ნოტიო, ტალახიან საბძლებში და დერეფნებში, სადაც ავდრიანობის დროს მიწის სახურავებიდან ჩამოდის კოკისპირული წვიმა; გზებზე თრევის დროს გაციებულ-გატანჯულ და მშიერ-წყურვილ ლტოლვილთ ზედ დაერთო უხეირო ბინები, ცუდათ კვება და გავრცელდა მათ შორის სხვადასხვა გადამდები სნეულება და დღეში 4—5 კვდება.

23 ივნისს ამოგვეშველა თფილისიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებული ბ. ალ. ს. ლორთქიფანიძე, რომელმაც ანუგეშა ბედისაგან დაჩაგრული ლტოლვილნი, დიდი გულმტკივნეულობა გამოუცხადა როგორც თვისი, ისე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრივ და აღუთქვა ყოველის მხრივ დახმარება; მეორე დღეს, 24 ივნისს, მის ინიციატივით შედგენილ იქნა ლტოლვილთა კომიტეტი, რომელსაც ეწოდა „რეხის ლტოლვილთა კომიტეტი", რომლის თავმჯდომარეთ, მდივნათ და წევრებათ იქნენ არჩეულნი ლტოლვილთაგანნივე. ამავე დროს კომიტეტი და ბ. ლორთქიფანიძე შეუდგნენ ფულით შეძლების დახმარებას უფრო მომეტებულად გაჭირვებულ-ულუკმა პურო ოჯახებისა, მაგრამ ის მცირე რიცხვი ფულისა, რომელიც ლორთქიფანიძეს თან წამოეღო თფილისიდან, არ აკმაყოფილებს ლტოლვილთა უნუგეშო მდგომარეობას:—ექიმი და სანიტარული რაზმი დღემდე არ არის ამოსული რეხაში. სნეულება დღითი დღე მკვიდრ ნიადაგს იდგამს. სოფ. რეხის ანტისანიტარული მდგომარეობა, ექიმის, საცვლების და შესაფერი ტანისამოსის და რიგიანი სურსათ-სანოვაგის უქონლობა უფრო ხელს უწყობს ავადმყოფობის და სიკვდილის გახშირებას. ბ. ლორთქიფანიძემ მოსვლის უმალვე მიიღო რეხის ახლად დაარსებულ ლტოლვილთა კომიტეტით ერთად ყოველივე ღონისძიება სოფლის გასუფთავების და ლტოლვილ ავადმყოფთა უნუგეშო მდგომარეობის შესახებ: ბ. ლორთქიფანიძემ არა ერთი ტელეგრამმა საჩქაროთ გაგზავნა მთავრობასთან და საქველმოქმედო საზოგადოებასთან, რომ დაეჩქარებინათ ექიმის, სანიტარული რაზმის, ჩაი-შაქარის, ფქვილის, საპნის და ფულის გამოგზავნა მოეშველება, მაგრამ დღემდე ესენი არც ერთი არა სჩანს, გარემოება-კი არ ითმენს ცდას და დახანებას: ეტყობა ხელს უშლის თფილისის სიშორე სოფელ რეხაზე და გზების უვარგისობა, ეტლების და ავტომობილების მიმოუსვლელობა თფილის მანგლის-ბეშტაშენ-რეხის გზებზე.

აქვე უნდა დავუმატოთ, რომ რაც ბარბაროს თათრებმა დააკლეს უბედურ ჯავახ-მესხეთის ლტოლვილებს, ის ადგილობრივ ოსთა ბრბოებმა შეუსრულეს: სოფ. რეხა აკრავს გუჯარეთის და მიტარბის ხეობას და იქ დასახლებულ ოსებს. ამ ხეობისკენ არიან ბაკურიანისკენ და გორისკენ მიმავალი გზები. როგორც მრავალი საჩივარი მოდის, ოსთა ბრბოები უხვდებიან ამ გზებზე მიმავალ ლტოლვილებს თუ ისე ადგილობრივ მგზავრებს, სძარცვავენ, ჰკლავენ და იარაღს ართმევენ, რითაც თავზარდამცემ შიშსა ჰგვრიან ხალხს და ველარავის გაუბედნია გაემგზავროს ბაკურიან გორისკენ. ამას არ მოველოდებოდით ჩვენ, ჯავახელებ ერთმორწმუნე მეზობელ ოსებისგან, რომლებიც წელიწად-თორმეტ თვეს ჩვენი ჭირნახულით იკვებებოდენ, მაგრამ ამათაც გვიღალატეს.

ბ. ლორთქიფანიძემ ოსების ასეთს თავხედობასაც მიაქცია ყურადღება და აღძრა შუამდგომლობა როგორც საჩქარო ტელეგრამმით, ისე დაწვრილებით ქაღალდით და სთხოვა მთავრობას სასტიკი ღონისძიება მიეღო ოსების ბრბოების ასალაგმავათ. იმედია სათანადო მთავრობა არ დასტოვებს ამას უყურადღებოთ.

ლტოლვილთა საქონელი: ცხვარი, ძროხაც ითმენს უბალახობას; რეხელებს მთა საძოვრები თავიანთ საქონელსაც ძლივს ჰყოფნის და აბა, ლტოლვილთა საქონელს როგორ გაუძლევება? ამის შესახებაც ბ. ლორთქიფანიძე ცდილობს ყოველი ღონისძიება მიიღოს და საძოვარი ადგილები მოუპოვოს ლტოლვილთა ცხვარ-ძროხას.

ჩვენ, ჯავახეთ-მესხეთის ლტოლვილნი დიდათ ვგლოვობთ, ვსტირით და ვნაღვლობთ, რომ ასე მოულოდნელათ ისეთი ძვირფასი კუთხე, როგორიც არის ჯავახეთ-მესხეთი, აკვანი და სამშობლო დაუვიწყარის შოთა რუსთაველისა, სარგის თმოგველს, ჩახრუხაძესი და სხ., ეგრეთვე აურებელის პურის, საქონლის და ყოველი საცხოვრებლის სალარო და მკვებავი მთელის რამდენიმე მაზრისა, დაკარგეს და ურჯულო ბარბაროს თათართა სათარეშოთ გახადეს. გლოვობს ყოველი ქრისტიანულის და სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ეგრეთვე იმას, რომ დასტოვეს მშვენივრად მოწყობილ-შემკული ეკლესიები და სიწმინდენი, დასტოვეს მშვენივრად მოწყობილი სკოლები და სახლ-კარი თათართა სათარეშოთ, წასაბლალავათ და წასაპილწავად ეკლესია—მონასტერთან ერთად.

ესეც უნდა დავსძინო, რომ ვიდრე ლტოლვილებმა ამოვაღწიეთ ს. რეხაში გზებზე მრავალგვარი წიოკობა და თავზარდამცემი შიში გამოვიარეთ თათრებისაგან, რომლებიც გვეცემოდნენ ამა თუ იმ სოფლებში დროებით დაბინავებულ და გზათ მომავალთ და გვიტეხამდნენ სეტყვის მსგავსს ტყვის ტყორცნას; რომელ სროლის დროს უგზო-უკვლოდ ანგარიშ მიუცემლად წამოღებულ სახლიდგან ნივთებს და ქონებას აქა-იქ გზებზედ ვისროდით და ვსტოვებდით საით გავრბოდით, ჩვენც არ ვიცოდით; ისმოდა წივილ-კივილი საცოდავ დედა-კაცებისა, ბავშვებისა და ახალგაზრდა ქალებისა ისე, რომ მტერსაც-კი შეებრალებოდა.

ს. რეხაში არ მოდის არც ერთი გაზეთი, რომ ამოდენა ლტოლვილმა ხალხმა ნამდვილი და უტყუვნელი ცნობები მივიღოთ იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს ქვეყანაზედ და კერძოთ ჩვენს საქართველოში, ვინაიდან აქ არავითარი გაზეთი არ მოდის, ამიტომაც არის რომ ლტოლვილთა შორის ვრცელდება ათასგვარი ცრუ ხმები, ჭორები და სიმართლეს მოკლებული ცნობები. რომ ამოდენა ხალხი მოვაშოროთ ამ ყოვლად მათთვის უბედურს დროს ათასგვარ ჭორებს, რომლებიც იწვევენ ხალხში შიშსა და ეჭვებს. ურიგო არ იქნება გაზ. „ერთობის" რედაქციამ თავისი გაზეთი უსასყიდლოთ მოაწოდოს რეხის ლტოლვილებს *) სხვა გაზეთებსაც ვსთხოვ გადაჰბეჭდონ ეს წერილი და მათაც მოაწოდონ ხსენებულს ლტოლვილებს გაზეთი. გარდა ამისა, ვისაც გული შესტკივა მესხეთ-ჯავახეთის ლტოლვილთა დაჩაგვრა-დაწიოკებით ვსთხოვ თვისი შეწირულება ფულათ იქნება თუ სურსათ-სანოვაგით ან ტანისამოსით, გამოგზავნოს შემდეგის ადრესით: сел. Бешташени, Борчалинскаго уѣзда, чрезъ Бешташенекое почтово-телеграф. отдѣленіе для Рехскаго комитета бѣженцевъ, въ с. Реха.

მღვდელი ვ. კოპტონაშვილი.

---

*) დღეიდან „ერთობა" ეგზავნება კომიტეტს.

ს.-დემ. პარტიაში

სამტრედია. 21 ივნისს შესდგა ჩვეულებრივი კრება სამტრედიის რაიონის სოც.-დემ. ორგანიზაციების კომიტეტისა. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საერთოთ შესანიშნავი არაფერი მომხდარა. გომის წარმომადგენლის გადმოცემით ამხანაგებს, რომელთაც დავალებული ჰქონდა ხსენებულ სოფელში წასვლა და პარტიულ მუშაობის გამოცოცხლება, დავალება არ შეუსრულებიათ. ღანირჭაგნის ახლათ აღდგენილ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის გასაწევათ დაევალა წასვლა ლ. ბ—ძეს. მეორე კითხვათ იყო ანარქიასთან ბრძოლა. მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. დუნდუა. სხდომამ დაადგინა: მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ძლიერი, ერთი მთავრობის შექმნას. ვალათ უდგენს პარტიის წევრებს მთავრობის ყოველგვარი განკარგულების ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუწყოს, რომ საბუთი და საშუალება არ ექნეს არავის არც მარჯვნივ და არც მარცხნივ შეარყიოს დემოკრატიის მიერ მოპოვებული მართვა-გამგეობა და გაუმჯობესებანი, თავიანთი შავი ზრახვების განსახორციელებლათ. ამასთანავე კომიტეტი აუცილებლათ სთვლის ყველა სხვა ორგანიზაციები მთავრობის საქმეში არ ერეოდენ და ხელს არ უშლიდენ მასის პსიხოლოგიურ შემოკრებას არსებულ, მთავრობის გარშემო. კომიტეტი ამასთანავე ავალებს ამხანაგებს გაურკვიონ ყველას გამოაშკარავებული შავი სახე ეროვნულ დემოკრატებისა, რომელნიც ნიადაგს უმზადებენ სამოქალაქო ომს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის შინაურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევას, რაც დამღუპველი იქნებოდა ჩვენი ნორჩი თავისუფლებისა. მესამე კითხვა იყო პარტიული მუშაობა. სხდომამ დაადგინა: რადგან შექმნილ მდგომარეობის მიხედვით საჭიროა პარტიულ მუშაობის მეტად გაცხოველება, რომელზედაც არის დამოკიდებული მთელი ჩვენი სხვა ორგანიზაციებში მუშაობის მნიშვნელობა, ვინაიდან პარტიული მუშაობა მიუხედავათ იმისა, რომ პარტიას ყავს ამისათვის პროფესიონალური მუშაკი, ვერ არის სასურველ ნიადაგზე დაყენებული, კომიტეტი ვალად უდგენს კომიტეტის პრეზიდიუმს მოაგვაროს ამ მხრივ მუშაობა, თვალყური ადევნოს და სადაც მოისურვებენ ორგანიზაციები იქ გაგზავნოს პროფ. მუშაკი, ავალებს, თვით მუშაკმა აკეთოს ყოველ კომიტეტის სხდომებზე მოხსენება, რათა გაშუქებული იქნას, თუ სად რა გაკეთდა და სხ...

შემდეგი კითხვა იყო ანგარიშების გამოცემა, რის შესახებაც დაევალა მდივანს შეადგინოს და დაამზადოს ბლანკები და დაუგზავნოს ყველას რამოდენიმე ცალი, რომ ამით საშუალება ექნეს ყველა კოლექტივებს ერთნაირი სისტემით აწარმოონ ანგარიშები.

ლევანიძე.

პროვინცია

ქ. საჩხერე. (შორაპნის მაზრა). სიმთვრალე, სიბინძურე ქუჩებში, ლანძღვა-გინება; ადგილობრივ დაწესებულებათა უთავბოლო მუშაობა და სხვ.—აი რა ახასიათებს ჩვენს კუთხეს. მიზეზი კი ყოველივე ამისა ის არის რომ თვით ბაზრის ადმინისტრაცია ვერ ასრულებს პირნათლათ თავის მოვალეობას. აი ამ რამდენიმე დღის წინათ ბაზარში სუფევდა სრული სიწყნარე. იშვიათად შეხვდებოდით მთვრალ ადამიანს. ახლა კი ქუჩაში იშვიათად შეხვდებით რომ ახალგაზრდები, რომლებიც ახლა გამალებით უნდა ადევნებდენ თვალს დღევანდელ მდგომარეობას, თითქმის სისტემატიურათ არ ლოთობდენ. ქუჩაში არ არის დაცული სისუფთავე. ღამე ფარნები არ ინთება, რის გამო ქუჩაში გავლა შეუძლებელი ხდება. ძლიერ სუსტობს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი.

ამას წინათ ციხიდან გაიქცენ დ. აბაშიძე, წერეთელი, გამგებელი, რომელთა წინააღმდეგ სერიოზული ბრალდება იყო წამოყენებული. გაიქცენ აგრეთვე მაჭავარიანი, რომელსაც ბრალდებოდა რამდენიმე ადგილას ქურდობა, მაჭავარიანი ვერ შეიპყრეს, საჭიროა საჩხერის რაიონის კომისარმა ჯეროვანი ზომები მიიღოს და გამოარკვიოს, თუ რა არის მიზეზი ციხიდან ამდენი ტუსაღების გაქცევისა. საჭიროა ციხეში ერთგვარი წესრიგის აღდგენა, რომელიც ეხლა სრულიათ არ არის.

შალიკო ხვადაბნელი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" მე-131 ნომერში მოთავსებულია გ. ღლონტის წერილი, რომელშიაც ავტორი ამბობს: „რადგან ბათუმს ოსმალოს მხრიდან საფრთხე მოელოდა, 28 მარტს მოწვეულ იქნა აღნიშნულ კავშირის წევრთა კრება, რომელმაც დაადგინა აუცილებელი საჭირო საბუთები და კავშირის კასის ფულის გაგზავნა თფილისში. ამის სისრულეში მოსაყვანად აირჩიეს ს. კილაძე, რომელსაც გამოატანეს 1600 მანეთი, მაგრამ, სხვადასხვა მიზეზების გამო, ს. კილაძეს თფილისის კავშირის გამგეობისათვის გადაუცია მხოლოდ 1300 მანეთი და დანარჩენი ს. კილაძეზე ირიცხება. იმედი გვაქვს ანგარიშის ჩაბარების დროს, ს. კ პირნათლათ გაგვისწორდება ბათუმის სტამბების მუშებსო".

ამ წერილის შინაარსმა ძლიერ გამაკვირვა და უნებლიეთ კითხვა დამებადა: რათ დასჭირდა ამხ. ღლონტს ამ წერილის მოთავსება, როდესაც მან საქმის ვითარება კარგად იცოდა? არ მინდოდა ამ წერილზე პასუხის გაცემა, მაგრამ ვიცი, რომ სიჩუმეს ბევრი ჩემი ამხანაგები და კერძოთ ბათუმის სტამბების მუშები სხვანაირად მიიღებენ და ამიტომ იძულებული ვარ პასუხი გავსცე ამხ. ღლონტს და სიმართლე აღვადგინო.

ამხ. ღლონტს ძლიერ სუსტი მეხსიერება ჰქონია, როდესაც ის ირწმუნება, რომ კრება 28 მარტს იყო მოწვეული და ს. კილაძეს 1600 მ. გამოატანესო. მე კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ ეს არ არის მართალი და რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვ იმ საბუთის ძალით, რომელიც ამ წერილს ახლავს და რომელზედაც თვით გ. ღლონტს ხელი აქვს მოწერილი, დამიდასტუროს, რომ თფილისის კავშირის გადასაცემათ მე გამომატანეს 1300 მანეთი და არა 1600 მან. ამ ფულის ჩაბარების შესახებ გაზეთ „ერთობის" მე-83 ნომერში მე შემდეგი წერილი მოვათავსე: „31 მარტს მოწვეულ იყო ბათუმის ბეჭდვითი მუშათა კავშირის საჩქარო კრება, რომელზედაც გადაწყდა კავშირის კასის ფულის გაგზავნა თფილისში, რის შესასრულებლადაც ამირჩიეს მე. ვაცხადებ ბათუმის ბეჭდვითი კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ ათას სამასი მან., რომელიც მივიღე ხაზინადარ ამხ. აშკინაზისაგან, გადავეცი თფილისის ბეჭდვითი მუშათა კავშირს და მივიღე ამის საბუთი 260 ნომრით.

არავითარი „საჭირო საბუთების" წამოღება ჩემთვის არ დაუვალებიათ, როგორც ამას იწერება გ. ღლონტი, რადგან ხსენებულ საგნების მოგროვება და შენახვა კრებამ მიანდო ამხ. აშკინაზეს. მე ძლიერ ვნანობ, რომ უბრალო მოუსაზრებლობის გამო, ზემომოყვანილ წერილის ბოლოში არაფერი ვსთქვი იმ ფულის შესახებ, რომელიც მიღებული მქონდა გზაში სახარჯოთ, მაგრამ ეს შეცდომათაც არ ჩაითვლება. მიუხედავათ ამისა, რომ შემდეგში ამის შესახებ არაფერი ინციდენტი არ აღიძრა, მე წინადადება მივეცი აქაურ ბეჭდვითი კავშირის მდივანს, ამხ. ს. დობორჯგინიძეს და ანგარიშის ჩაბარებას შევპირდი, რაც უკვე სისრულეში მოყვანილია. ამასთანავე ვაცხადებ ბათუმის კავშირის წევრების საყურადღებოთ, რომ სახარჯო მოცემულ ფულიდან (292 მ.) დახარჯულია მხოლოდ 74 მ. ამრიგად ბათუმის ბეჭდვითი საქმის კავშირის წევრებს თფილისის კავშირის გამგეობაში აქვს შენახული ათას ხუთას თვრამეტი მანეთი *), რომლის საბუთი 260 ნომრით მე მაბარია.

ს. კილაძე.

---

*) ეს საბუთი ს. კილაძემ რედაქციას წარმოუდგინა. წარმოდგენილი საბუთით მტკიცდება აგრეთვე, რომ ბათუმის კავშირს თფილისის კავშირზე გადასაცემათ მისთვის გამოუტანებია 1300 მ.ნ.

რედ.

დავკარგე საწევრო წიგნაკი მომხმარებელ საზოგადოება „თფილისის კოოპერატივისა" დუქანი № 22, მარკოზის ასულის მაისურაძის № 7232. მნახველს შემდეგი (მისამართით: ფედლოსიეეის ქუჩა № 32. ეკატერინე მაისურაძეს.

ექიმი უკლადნიკოვი
შინაგან და საბავშვო სნეულებიან ავ მყოფთ იღებს ყოველ დღე დილ. 10— საათამდე და სალ. 5—6 საათამდე. სამართი: დიდიმთავრის ქუჩა № 67 (რონჩნი ქუჩ. კუთხე).

ექიმი ი. ბ. კონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფ სალამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდ უბნის ქ. № 3.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრი ქუჩა № 8. მონასელიძის ბინა.

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავ მყოფებს იღებს ყოველ-დღე დილი —9 საათამდე, სალ. 5—7 ს. ჩერქეზო ქუჩა № 14.

ექიმი ვ. კლდიაშვილი.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებ ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდ მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კირ ჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს ლის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბ დის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექ. ქალი რ. ბ. შიულო-საბაშვილისა
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკ.-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ-დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მე თოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვ სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნ —10 საათ. საღამოს 5—7 საათ. ჩერქ ვის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—

სამკურნალო კაბინეტი
ექიმი ალექსანდრე დავ. ქექ
მიიღება კანისა, ვენერიულ ლისიანი ავათმყოფები. (9 შეშხაპუნება). ავადმყოფთ საათამდე საღამოთი. მიხე ტი № 116, სასტუმ რო „ნო ტელეფონი 14-

ექიმი ნ. ლ. ტური
მედიცინის დოქტორი ვ ვერსიტეტის შინაგან საშ და საშვილოსნო სნეულ იღებს ყოველდღე შუად საღამოს 4—5 საათ. უფ ველ-დღე დილ. 9—10 ს ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ს აქის გვერდ

ექიმი ნ. ი. შ
იღებს სპეციალურად— ბა) და მისი შედეგებით სისხლის ნაკლებობით, ტვისა, ქარებით და სხ ლებით ავათმყოფთ ყ მოთი 4—6 საათამდე და მასსაჟი. მისამართ

ექიმი ვ.
იღებს სადოსტაქრო ავ 5—8 საათამდე კვირ სამართი: დიდი მთავ ცერთა ეკონომიურ ს დაპირ, სახ. სვანიშვილი

გაიხსნა თვალის
(მუდმივი საწოლ ით)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის ლის კლინიკის ყოფილი ასისტენტის
ექიმ დოხნინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

მოითხოვეთ სამკურნალო
ბორჯომის წყალი
ერთად-ერთი წარმომადგენელნი მიწათმოქმედების სამინისტროის ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს მუშტარებს, რომ ... დიდობით და ნისიათ წყალი არავის გიგზავნება. ... დება ტრანსპორტირებულია.
მისამართი: ბორჯომის კანტორა, „ბორჯომპორტი".
(15—2)

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გალავნის შესახვევი, № 1.